პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 25 თებერვალი, 1942 წ. № 48 (6364). ფასი 15 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს XXI წლისთავს!

ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშით წინ, გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა გასანადგურებლად!

ლენინ-სტალინის დიადი დროშით!

ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთ საზღვრებზე საბჭოთა ხელისუფლების მძლავრ ციხე-სიმაგრეს — საქართველოს რესპუბლიკას დღეს შეუსრულდა არსებობის XXI წელი.

1921 წლის 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა, ამხანაგების ორჯონიკიძისა და კიროვის უშუალო ხელმძღვანელობით, დაამხო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა და ააფრიალა საბჭოთა ხელისუფლების ძლევამოსილი წითელი დროშა. ამ ისტორიულ საქმეში მას ძმური დახმარება გაუწია დიდმა რუსმა ხალხმა და მხარი დაუჭირა გმირმა წითელმა არმიამ. აქედან დაიწყო ახალი ისტორია მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ოცდაერთი წლის მანძილზე ქართველმა ხალხმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. საბჭოთა საქართველოს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, მეცნიერება და ტექნიკა, ხელოვნება და ლიტერატურა არნახულად აყვავდა. გამოიზარდნენ ნიჭიერი ახალი კადრები მუშების, გლეხების, ინტელიგენციის წრიდან. საქართველო — მსოფლიოს ერთ-ერთი უბედნიერესი კუთხე, რომელიც უხვად არის დაჯილდოებული ბუნებრივი სიმდიდრეებით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად გადაიქცა.

აუტანელი იყო ქართველი ხალხის ცხოვრება შავბნელ წარსულში—მეფისა და მენშევიკების სისხლიანი ბატონობის დროს. 1917 წელს მენშევიკების მიერ გერმანელი იმპერიალისტებისათვის გასაძარცვავად მიგდებული ქვეყანა — საქართველო მძიმე დღეებს განიცდიდა. ქართველ ხალხს ახსოვს და არასოდეს დაავიწყდება, თუ რა მხეცური სისასტიკით თარეშობდნენ გერმანელი ოკუპანტები საქართველოში მენშევიკების დროს. ისინი ულმობლად სძარცვავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, აწიოკებდნენ ოჯახებს, ჰკლავდნენ და სცემდნენ უდანაშაულო ადამიანებს. მენშევიკებმა გერმანელი ოკუპანტების დახმარებით, რომლებმაც იარაღი და ავიაცია გამოიყენეს, ჩააქრეს ქართველი მშრომელი გლეხების აჯანყებანი საქართველოს მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებში. მაგრამ ძარცველები განდევნილ იქნენ ჩვენი მიწა-წყლიდან.

ქართველმა ხალხმა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაიმკვიდრა ბედნიერი ცხოვრება და იგი არავის დაუთმობს ბრძოლით მოპოვებულ ამ დიად გამარჯვებას.

ყოველ დღეს მოაქვს სასიხარულო ცნობები გმირი წითელი არმიის ძლევამოსილი წინსვლის შესახებ მთელ ფრონტზე. ქარიშხალსა და ბრძოლაში დაბადებულმა წითელმა არმიამ ომის თოფის წამლის კვამლსა და გერმანელი ოკუპანტების განადგურების სტალინური გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის შეუპოვარ ბრძოლებში აღნიშნა თავისი არსებობის XXIV წლისთავი.

ამ სახელოვან წლისთავზე თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის ბრძანება უდიდესი დამრაზმავი ძალით გაისმა. მას ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდნენ მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხები. ამხანაგ სტალინის ბრძანებას გამარჯვებისაკენ მივყევართ! იგი კიდევ უფრო ამტკიცებს ფრონტისა და ზურგის ერთიანობას. გენიალური მხედართმთავრის ბრძნული შორსმჭვრეტელობა, რომელსაც ეს ისტორიული ბრძანება განასახიერებს, აღაფრთოვანებს დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ ყველა ხალხს და უფრო მეტად განუმტკიცებს პირსისხლიან ფაშიზმზე გარდუვალი გამარჯვების რწმენას.

გამხეცებული ჰიტლერელი ბანდიტების წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის დღეებში საბჭოთა საქართველოს მშრომელები ყველაფერს აკეთებენ ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის. ამხანაგ სტალინის ბრძანებას ქართველი ხალხი მთელი მუშაობის შემდგომი გაძლიერებით უპასუხებს, რათა დააჩქაროს ფაშიზმის განადგურება.

ყოველდღიურად ძლიერდება ფრონტისადმი დახმარება, წარმატებით მუშაობენ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ომიანობის დროის სტახანოველები. თბილისის საორთქლმავლო დეპოს ამხ. შ. ხიზანიშვილის ბრიგადამ, რომელშიც 15-ის მაგიერ 8 კაცი მუშაობს, ნაკისრი 10 ორთქლმავლის ნაცვლად, თებერვალში ვადაზე 3 დღით ადრე 13 ორთქლმავალი გამოუშვა. სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევიან ტყიბულის ქვანახშირის მნგრეველები ბ. თოდაძე, შ. ფურცხვანიძე და მრავალი სხვა. მეტი ქვანახშირისათვის იბრძვიან ტყვარჩელელები. წულუკიძის მტს-ის ტრაქტორისტმა ამხ. ჯიქიამ მიმდინარე წლის I კვარტალში ხვნის გეგმა 155 პროცენტით შეასრულა და 722 კილოგრამი საწვავი დაზოგა. დიდი წარმატება მოიპოვეს „საქნავთის" ტრესტის მუშაკებმა. ისინი მეტ და მეტ პროდუქციას აძლევენ ფრონტს, აღიდებენ ნავთის ამოღებას.

ქართველი ხალხის ბევრი უშიშარი შვილი სახელოვნად იბრძვის ფრონტზე და გმირობის სასწაულებს ახდენს. არასოდეს არ ყოფილა ქართველი ხალხი ისე მჭიდროდ დარაზმული, ისე ერთიანი და ბრძოლისუნარიანი, როგორც დღეს, დიდი სამამულო ომის ვითარებაში. და როგორი გააფთრებითაც არ უნდა ემუქრებოდნენ საერთაშორისო მტარვალები—გერმანელი ფაშისტები, რა მხეცობასაც არ უნდა მიმართონ ჰიტლერელმა ავაზაკებმა—საქართველოს მშრომელები აღსავსე არიან ერთსულოვანი გადაწყვეტილებით იბრძოლონ ფაშიზმის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის ძმურ ხალხებთან ერთად დააჩქარონ ჩვენი სამშობლოს ვერაგი მტრის განადგურება.

ახლა, როცა გმირი წითელი არმია წარმატებით მიიწევს წინ მთელ ფრონტზე და დასავლეთისაკენ მიერეკება გერმანელ ოკუპანტებს, უჩვეულო შრომითს აღმავლობას განიცდის მთელი ჩვენი ქვეყანა. ჩვენი გამარჯვება მტერზე გარდუვალია. ამ გამარჯვებისათვის ყველაფერს აკეთებს ქართველი ხალხი მოძმე რესპუბლიკების ხალხებთან ერთად.

წლების განმავლობაში ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა და გამარჯვება მჭიდროდ არის დაკავშირებული ამხანაგ **სტალინის** სახელთან. ამხანაგმა **სტალინმა** პირველმა დარაზმა საქართველოს მშრომელები და წაიყვანა გამარჯვებათა დიადი გზით. **ლენინ-სტალინის** პარტიის დროშით გაიმარჯვა ქართველმა ხალხმა ყველა და ყოველგვარი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დროშის ქვეშ საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმა დიდი სტალინის ერთგულმა მოწაფემ და თანამებრძოლმა ამხანაგმა ლავრენტი **ბერიამ.**

ამავე დროშით — **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის დროშით მოიპოვებს ქართველი ხალხი ახალ გამარჯვებებს გამხეცებული გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს სახელოვან XXI წლისთავს!

გაუმარჯოს ხალხთა ბელადს, გენიალურ მხედართმთავარს მშობლიურ დიდ **სტალინს!**

ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშით წინ, გერმანელ ოკუპანტთა გასანადგურებლად!

უკანასკნელ საათს

ჩვენი ჯარები გარსშემოერტყნენ გერმანიის მე-16 არმიას

ჩვენი დავლა

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა (ფრონტის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კუროჩკინი), რომლებმაც სტარაია რუსას რაიონში 10 დღის წინათ დაიწყეს გერმანიის მე-16 არმიის გარსშემორტყმა, ამ დღეებში დაამთავრეს იგი. ვინაიდან გერმანიის მე-16 არმიამ (სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ფონ ბუში) უარი სთქვა დაეყარა იარაღი, ჩვენმა ჯარებმა იერიში დაიწყეს. იერიშის პირველი ეტაპის შედეგად განადგურებულია მე-2 საარმიო კორპუსის (მეთაური გენერალი ბროკდორფი) 290-ე ქვეითი დივიზია, მე-10 საარმიო კორპუსის (მეთაური გენერალი ჰანზენი) 30-ე ქვეითი დივიზია და „სს" დივიზია. გერმანელებმა ადგილზე დასტოვეს 12 ათასამდე მოკლული.

ჩვენი დავლა: 185 ქვემეხი, 135 ნაღმსატყორცნი, 29 ტანკი, 340 ტყვიამფრქვევი, 4.150 ავტომატი და შაშხანა, 450 ავტომანქანა, 320 მოტოციკლი, 560 ველოსიპედი, 15 სატრაქტორო საწევარი, 125 ვაგონი, 8 ორთქლმავალი, 14.000 საარტილერიო ყუმბარა, 9.700 ნაღმი, 1.300 ათასი ვაზნა, 6.350 ხელის გრანატი, 53 პონტონი, 105 კილომეტრი სატელეფონო კაბელი, 27 რადიოსადგური, 385 პარაშუტი, 335 ცხენი.

ხელთ ვიგდეთ აგრეთვე საწყობები სურსათისა, საომარი მასალისა და ჩაცმულობისა, რომელთა დათვლაც სწარმოებს.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ ამხ. **მოროზოვის**, გენერალ-მაიორ ამხ. **ბრიაზნოვის** და გენერალ-მაიორ ამხ. **ბერზარინის** ჯარებმა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

24 თებერვლის დილის ცნობა

23 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ აქტიურ საომარ მოქმედებას გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ჩვენმა ნაწილმა, რომლის მეთაურად არის ამხ. კუტლინი, კავალერისტებთან თანამოქმედებით, ამხ. მასკალენკოს მეთაურობით, 2 დღის ბრძოლით გაათავისუფლა 10-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. ბრძოლაში მოსპობილ იქნა 2.500-ზე მეტი ჰიტლერელი, 200 გერმანელი ჯარისკაცი ტყვედ არის წამოყვანილი. ჩვენმა მეომრებმა გერმანელებს წაართვეს 39 ტყვიამფრქვევი, 6 ნაღმსატყორცნი, 8 ქვემეხი, დიდძალი შაშხანა და სხვა დავლა. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი იმ ქვეგანაყოფის მებრძოლებმა, რომელსაც ამხ. რუბცოვი მეთაურობს. მათ მოიგერიეს მტრის 5 გააფთრებული კონტრიერიში და მოსპეს 500-ზე მეტი გერმანელი ფაშისტი დამპყრობი.

* * *

ჩვენმა ნაწილმა, რომელიც სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, ხელთ იგდო გერმანელთა 3 ტანკი, 4 ქვემეხი, 8 ნაღმსატყორცნი, 9 ტყვიამფრქვევი, 60 ყუთი ნაღმი და 2 რადიოსადგური მტერმა მოკლულთა სახით დაჰკარგა 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ფრონტის სხვა უბანზე მეომრებმა ამხ. პავლოვსკის მეთაურობით მოსპეს გერმანელთა სამი ტანკი, ხელთ იგდეს 1 ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი, 4 ტყვიამფრქვევი და დიდძალი საომარი მასალა. ბრძოლის ველზე დარჩა 130 მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

იმ ქვეგანაყოფის მეომრებმა, რომელსაც ლეიტენანტი კრიუჩკოვი მეთაურობს, ტანკსაწინააღმდეგო თოფებით ჩამოაგდეს გერმანელთა 2 სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომლებსაც ბენზინი და ფქვილი გადაჰქონდათ ერთერთ დასახლებულ პუნქტში გარშემორტყმული გერმანელთა გარნიზონისათვის. ორივე თვითმფრინავის ეკიპაჟი—9 ჯარისკაცი და ოფიცერი—ტყვედ არის წამოყვანილი.

* * *

იმ ნაწილის მეომრებმა, რომელსაც ამხ. ბეზუბოვი მეთაურობს (დასავლეთის ფრონტი), სოფელ ი-სათვის ბრძოლაში ხელთ იგდეს მტრის 2 ქვემეხი ყუმბარებიანად, 3 ტყვიამფრქვევი, 12 ყუთი ვაზნა, რადიოსადგური და სხვა დავლა.

* * *

სატანკო ეკიპაჟმა უფროსი ლეიტენანტის რაიდოფირის მეთაურობით ორი დღის ბრძოლაში 5-ჯერ მიიტანა იერიში მტერზე. მამაცმა ტანკისტებმა მოსპეს გერმანელთა 4 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 5 დაზგის ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი, დაანგრიეს ორი მიწური საცეცხლე წერტი და გაჟლიტეს მტრის 50-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი ამხ. კ-ს პარტიზანული რაზმი ტყეში ჩაუსაფრდა მტერს და მოსპო გერმანელთა დამსჯელი რაზმი, რომელსაც ახლდა ორი ტანკი. ბრძოლის დროს ერთი ტანკი გრანატებით მოსპეს, ხოლო მეორე პარტიზანების მიერ ჩაწყობილ ნაღმებზე აფეთქდა. ამხ კ-ს რაზმის მეომრებმა რამდენიმე დღეში მოსპეს 68 გერმანელი ჯარისკაცი და 11 ოფიცერი. წამოყვანილი ტყვეები და ნადავლი პარტიზანებმა წითელი არმიის ნაწილებს გადასცეს.

* * *

გერმანელთა 76-ე ქვეითი დივიზიის 203-ე პოლკის მე-10 ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ფრიც შნაიდერმა განაცხადა: „ჩვენი ჯარისკაცები დატანჯული არიან გაჭიანურებული ზამთრით და გულგატეხილნი უდიდესი ზარალით, რაც ჩვენს დივიზიას მოუვიდა. 16 თებერვლისათვის ჩვენს მე-10 ასეულში სულ 50 ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა. მათგან საბრძოლო შემადგენლობისა მხოლოდ 28 კაცია. 203-ე პოლკის ყოველი ბატალიონი ფაქტიურად ასეულს უდრის, ხოლო პოლკის ძალები ერთი ბატალიონის ძალებს უდრიან. ამჟამად სარდლობას ბრძოლაში გამოჰყავს მეაღლეები, მესიკოსები და სხვა არამეწყობრენი".

* * *

გერმანელთა 337-ე ქვეითი პოლკის მოკლულ ეფრეიტორს რიჰარდ კრიგერს აღმოაჩნდა მშობლებთან გაუგზავნელი წერილი. წერილში ნათქვამია: „რუსებმა გაარღვიეს ჩვენი თავდაცვა და ჩვენ ნამდვილ ჯოჯოხეთში მოვხვდით. ბევრი ჩვენი ამხანაგი უკვე დაიღუპა. არავინ იცის ჩვენი სამზარეულოები სად არის. ჩვენ მხოლოდ ორცხობილათი ვიკვებებით. რომელიღაც ჩვენგანმა მომპარა ნივთების ტომარა, თეთრეული, გასაპარსი ხელსაწყო და სხვა ნივთები".

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა კურსკის ოლქის სოლნცევოს რაიონის სოფელ ლოშჩინსკაია პლოტიდან უკან დახევისას დასწვეს 250 სახლი. ბევრი მცხოვრები უსახლკაროდ და უსურსათოდ დარჩა. საყოველთაო ძარცვა-გლეჯის დროს ჰიტლერელებმა დახვრიტეს კოლმეურნეები: ნიკოლოზ ლეონტიევი, პაველ ლეონტიევი, ეგორ ჩერნიკოვი, ნადეჟდა ლეონტიევა, დემიან ლეონტიევი, ვასილი ლეონტიევი და მარიამ ლეონტიევა— ოთხი მცირეწლოვანი ბავშვის დედა.

* * *

არასრული ცნობებით, ხაბაროვსკის მხარის მშრომელებმა წითელი არმიის XXIV წლისთავისათვის მოქმედი არმიის ნაწილებში მებრძოლებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს საჩუქრად გაუგზავნეს 67.489 ამანათი.

24 თებერვლის საღამოს ცნობა

24 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ჯარები გერმანიის ფაშისტური ჯარების წინააღმდეგობას სძლევდნენ, კვლავ წინ მიიწევდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

23 თებერვლის განმავლობაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია მტრის 21 თვითმფრინავი. ჩვენ 13 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

23 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს და დააზიანეს გერმანელთა 10 ტანკი, 327 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, საომარი მასალით დატვირთული 140 საზიდარი, 8 ავტოცისტერნი საწვავი, 31 ქვემეხი, 27 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, 23 ნაღმსატყორცნი, ააფეთქეს საომარი მასალის 5 საწყობი, დაამსხვრიეს რკინიგზის 17 ვაგონი და ერთი ორთქლმავალი, ცეცხლი წაუკიდეს რკინიგზის 2 ეშელონს, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის 3 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

გასულ კვირაში—15-დან 21 თებერვლამდე—გერმანიის არმიამ 157 თვითმფრინავი დაჰკარგა. აქედან საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია 95 თვითმფრინავი, საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო 11, მტრის აეროდრომებზე მოსპობილია 51 თვითმფრინავი. ამავე პერიოდში ჩვენ 54 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილი, რომელიც დასავლეთის ფრონტზე მოქმედებს, 23 თებერვალს მტრის მიერ ძლიერ გამაგრებულ დასახლებულ პუნქტ ს-ში შეიჭრა და ხელთ იგდო 8 ბლინდაჟი, 6 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, მტერთან გააფთრებულ ბრძოლაში მოსპო გერმანელთა 3 ტანკი. გერმანელებმა მოკლულთა სახით 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილებმა, რომლებიც სამხრეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებენ, მტრის მრავალრიცხოვანი იერიშები მოიგერიეს და წინსვლას განაგრძობენ. მათ 7 დასახლებული პუნქტი და რკინიგზის 2 სადგური დაიკავეს. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა ტექნიკისა და ადამიანების მხრივ. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს გერმანიის 76-ე ქვეითი დივიზიის 203-ე და 230-ე პოლკები და გერმანიის მე-9 ქვეითი დივიზიის 57-ე პოლკი. ბრძოლის ველზე მტრის დიდძალი გვამი დარჩა. წამოღებულია დიდძალი დავლა.

* * *

ჰიტლერელმა ოფიცერმა სოფელ კ-ს მცხოვრებს 80 წლის მოხუცს მათე მათეს-ძე კუზმინს გამოუძახა და უბრძანა მაღლობ გზებით გაეყვანა გერმანელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი იმ ნაწილის საბრძოლო დაცვის განლაგებაში, რომელსაც ამხ. გორბუნოვი მეთაურობს. როდესაც გერმანელთა გასაცილებლად მიდიოდა, კუზმინმა გერმანელებისათვის შეუმჩნევლად დაავალა თავის 14 წლის შვილიშვილს ვასიას—საბჭოთა ჯარების განლაგებაში შეიპარა და გააფრთხილე, რომ მათ საფრთხე მოელითო. დიდ ხანს დაჰყავდა ამხ. კუზმინს მოსისხლე მტრები ხევებში, ატარებდა მათ ბუჩქნარებსა და ტყეებში. საბოლოოდ დაღლილი, სიცივისაგან აკანკალებული გერმანელები სრულიად მოულოდნელად ტყვიამფრქვევის ცეცხლქვეშ მოხვდნენ. ვასიას მიერ წინასწარ გაფრთხილებული საბჭოთა მეტყვიამფრქვევეები პირდაპირი დამიზნებით ხოცავდნენ ჰიტლერელებს. მინდორი გვამებით დაიფარა. 250-ზე მეტმა გერმანელმა ჯარისკაცმა გაითხარა აქ სამარე. როდესაც გერმანელმა ოფიცერმა ნახა, რომ მისი რაზმი მახეში გაება, მან რევოლვერით მოჰკლა მოხუცი. ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელები არასოდეს არ დაივიწყებენ სახელოვან საბჭოთა პატრიოტის მათე მათეს-ძე კუზმინის გმირულ საქციელს.

* * *

ამხ. შ-ს პარტიზანული რაზმი, რომელიც უკრაინის რესპუბლიკის გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს, მოულოდნელად დაესხა თავს გერმანიის გარნიზონს დასახლებულ პუნქტ ნ-ში. პარტიზანებმა დახოცეს 40-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 4 ტყვიამფრქვევი, ერთი ნაღმსატყორცნი, რამდენიმე შაშხანა და 2.000 ვაზნა.

* * *

გერმანიის 297-ე დივიზიის, 524-ე პოლკის მე-2 ასეულის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა იოჰან რადლერმა განაცხადა: „ჩვენს ოცეულში ბევრია როგორც დაჭრილი, ისე ფილტვების ანთებითა და რევმატიზმით დაავადებული ჯარისკაცი. ახლა პარტახტიანი ტიფიც მძვინვარებს. ჩვენს ოცეულში უკვე აღნიშნულია პარტახტიანი ტიფით დაავადების 6-7 შემთხვევა. ჯარისკაცებში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ მეზობელი დივიზიის 25 ჯარისკაცი რუსების მხარეზე გადავიდა. უკანასკნელ დროს ოფიცრები გაზეთების წაკითხვის ნებას არ გვაძლევენ. მათ ეშინიათ, რომ გაზეთების კითხვა მხოლოდ გააძლიერებს ჯარისკაცთა უკმაყოფილებას".

* * *

23 თებერვალს, როდესაც გერმანელებმა საბჭოთა ჯარების მიძალების შედეგად სმოლენსკის ოლქის სოფელ როგკოვოდან დაიხიეს, მათ თან წაიყვანეს მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა. გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ამ სოფელში დახვრიტეს 80 მოხუცი, ქალი, ძუძუმწოვარი და მცირეწლოვანი ბავშვი.

* * *

ქალაქ ლინცში (გერმანია) გერინგის კუთვნილ ქარხანაში ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა. რამდენიმე საამქრო სავსებით დაიწვა. ამ ქარხანაში რამდენიმე ათასი პოლონელი, ჩეხი, ბელგიელი და ფრანგი მუშაობდა.

* * *

ტომსკის რკინიგზის სადგურ ესიატის ვაგონსარემონტო პუნქტის სტახანოველებმა ამხ. კუზნეცოვმა და კონსტანტინოვმა წითელი არმიის XXIV წლისთავის აღსანიშნავად გამოიგონეს შტამპი იმ საბუნიკო საკიდარების გამოსაჭედად, რომლებსაც წინათ ხელით ამზადებდნენ. შტამპის გამოყენების შედეგად ამხ. კუზნეცოვმა და კონსტანტინოვმა პირველსავე დღეს დავალება 800 პროცენტით შეასრულეს. ამავე შტამპის დახმარებით მჭედელმა ამხ. ივანოვმა და მეურომ ამხ. ტიტოვმა ცვლაში ნორმის 870 პროცენტი მოგვცეს.

ქართველი ხალხი განუყოფელია საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახისაგან.

სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა მტკიცეა, როგორც სალი კლდე.

საქართველოს ბოლშევიკებს და მთელ ქართველ ხალხს მაღლა და მტკიცედ უჭირავთ თავის ხელში **ლენინ-სტალინის** უძლეველი დროშა.

ლავრენტი ბერია

ამხანაგ ხოზე დიასის მისალმება საბჭოთა საქართველოს მშრომელებისადმი

მხურვალე სალამს ვუთვლი საბჭოთა საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს და ინტელიგენციას, რომელნიც დღესასწაულობენ წითელი არმიის სახელოვან XXIV წლისთავს და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის XXI წლისთავს.

მთელი მოწინავე პროგრესიული კაცობრიობა, ჰიტლერის ტირანიის უღელქვეშ მგმინავ ევროპის ხალხთა უფართოესი მასები აღტაცებით და სიყვარულით ადევნებენ თვალყურს სახელოვანი წითელი არმიის გმირულ ბრძოლას, რომელიც დიდი სარდლისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით ზედიზედ ამარცხებს ჰიტლერის არმიას.

შორს აღარ არის ის დღე, როდესაც წითელი არმია, რომელსაც ერთსულოვნად უჭერენ მხარს სსრ კავშირის ხალხები, საბჭოთა ტერიტორიებს გასწმენდს თავხედ ჰიტლერელ დამპყრობლებისაგან.

იგი სასახელოდ ასრულებს თავის დიად ისტორიულ განმათავისუფლებელ მისიას, ევროპის დამონებულ ხალხებს ეხმარება გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლების საქმეში.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სსრ კავშირის ყველა ხალხი, სტალინურ ძმურ ოჯახში მჭიდროდ დარაზმული, მხარდამხარ იცავს თავისი სოციალისტური სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

მათ შორის ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები სსრ კავშირის სხვა მოძმე ხალხთა შვილებთან ხელიხელჩაკიდებულნი თავგანწირულად ანადგურებენ მტრის ურდოებს. ამ ბრძოლაში ისინი იჩენენ მამაცობას, სიმტკიცეს, პარტიისა და სამშობლოსადმი ერთგულებას,—იმ თვისებებს, რომლებსაც მთელი რიგი წლების განმავლობაში უნერგავდა ქართველ ხალხს ამხანაგ სტალინის ერთგული მოწაფე— ლავრენტი **ბერია.**

სალამი საბჭოთა საქართველოს მშრომელთ, რომელნიც თავიანთი რესპუბლიკის XXI წლისთავს აღნიშნავენ თავგანწირული მუშაობით ჩვენი მშობლიური, გმირი წითელი არმიის დასახმარებლად.

გაუმარჯოს წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას—გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების ორგანიზატორს!

გაუმარჯოს დიდ სარდალს, მთელი მოწინავე პროგრესიული კაცობრიობის ბელადს ჩვენს **სტალინს!**

ხოზე დიასი

ამხანაგ სტალინის ბრძანებას გამარჯვებისაკენ მივყევართ!

საბჭოთა ხალხის ძლიერების მძლავრი დოკუმენტი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ყველა საამქროში გუშინ ჩატარდა წითელი არმიის XXIV წლისთავის გამო თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის ბრძანების კითხვა და გაცნობა.

საუბრებს ატარებდნენ აგიტატორები და პარტიული კომიტეტის წევრები.

— ამხანაგ სტალინის ბრძანება ჩვენი მომავალი მუშაობის საბრძოლო პროგრამაა. იგი გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის ძლიერებას, მის ნება-სურვილს შეუსვენებლივ იმუშაოს, რათა მიაღწიოს სისხლისმსმელი ფაშისტური ბანდის საბოლოო განადგურებას,—აცხადებდნენ ქარხნის მოწინავე მუშები.

— ბელადი თავდადებული მუშაობისაკენ მოგვიწოდებს. ამ მოწოდებას ახალი საგმირო საქმეებით ვუპასუხებთ. ვალდებულებას ვკისრულობ მთელი ჩემი ბრიგადა სამასოვანი გავხადო, — სთქვა ამწყობი საამქროს ბრიგადირმა ამხ. ამიროვმა.

— დიდი ბელადის მოწოდების საპასუხოდ სულ უფრო და უფრო მეტ პროდუქციას მივცემთ ფრონტს, ყოველმხრივ დავეხმარებით გმირულ წითელ არმიას თავისი ისტორიული მისიის შესრულებაში — ფაშიზმის განადგურებაში, — განაცხადეს ორასოვანმა მუშებმა გაბუნიამ, ხუროშვილმა, ფედერმანმა, ონიანმა და სხვ.

ამხანაგ სტალინის ბრძანებას ქარხნის მუშებმა ახალ საბრძოლო ვალდებულებათა აღებით უპასუხეს.

ფაშიზმის განადგურება გარდუვალია

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის საამქროებში გულდასმით გაეცნენ თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის ბრძანებას.

საიარაღო საამქროს ტექნოლოგმა ამხ. ისაკიანმა განაცხადა:

— დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ყოველი სიტყვა ჩვენ ახალ ძალებს გვმატებს. ფაშიზმის განადგურება გარდუვალია.

— ამხანაგ სტალინის გამარჯვების რწმენით აღსავსე ბრძანებას ჩვენი ქარხნის კოლექტივი ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებს. ჩვენ შეუსვენებლად ვიმუშავებთ, რათა ფრონტს, მშობლიურ წითელ არმიას მივსცეთ მეტი და მეტი მრისხანე იარაღი ვერაგი მტრის გასანადგურებლად, — განაცხადა ქარხნის მოწინავე ოსტატმა ამხ. ბურცევმა. ამხ. ბურცევმა აქ განცხადებით ქარხნის მთელი კოლექტივის აზრი გამოხატა.

მაქსიმალურად დავაკმაყოფილებთ ფრონტის მოთხოვნილებას

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის აგიტატორებმა გუშინ, დილის შესვენების დროს მუშებს გააცნეს თავდაცვის სახალხო კომისრის ი. სტალინის ბრძანება გმირი წითელი არმიის XXIV წლისთავის გამო.

ბრძანებას ფაბრიკის კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა. ბელადის მოწოდებამ ახალი შრომითი გმირობისათვის დარაზმა მუშები, რომლებმაც განაცხადეს, რომ იმუშავებენ კიდევ უფრო თავდადებით და ყველაფერს გააკეთებენ ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

ფაბრიკის მექანიკური საამქროს სტახანოველმა მდივანოვმა, რომელიც დავალებას 432 პროცენტით ასრულებს, განაცხადა: დიდი ბელადის სიტყვები გამოხატავს ჩვენი ქვეყნის ურყევ გადაწყვეტილებას — ბოლომდე გაანადგუროს თავდამსხმელი მტერი — ფაშისტური ურდოები. ამ ამოცანის განხორციელებაში ჩვენ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ გმირულ წითელ არმიას. ჩვენ, წითელი არმიის ზურგში მყოფი ადამიანები, ვალდებული ვართ გავაორკეცოთ და გავასამკეცოდ შრომის ნაყოფიერება, რათა უზრუნველვყოთ ფრონტის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ვ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საბჭოთა საქართველოს XXI წლისთავი

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით განდევნეს თავისი ქვეყნიდან საქართველოს მშრომელთა უბოროტესი მტრები — მენშევიკები. საქართველოს მშრომელნი არასოდეს არ დაივიწყებენ იმ საზიზღარ ხანას, როდესაც საქართველოში პარპაშებდნენ გერმანელი ოკუპანტები, რომელთა ნება-სურვილს ბრმად ასრულებდნენ მენშევიკები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ახალი ხანა, საბჭოების წითელი დროშის ქვეშ დაიწყო ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების აღორძინებისა და აყვავების პერიოდი.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ქართველი ხალხი აღნიშნავს იმ ვითარებაში, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი ეწევა დიდ სამამულო ომს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

უკვე მეცხრე თვეა გრძელდება ეს ომი, რომელიც ყველგან სიკვდილსა და გაპარტახებას სთესავს. და მეცხრე თვეა მრავალმილიონიანი და მრავალეროვანი წითელი არმია ისტორიაში ...

... ათეულჯერ გადიდდა 1913 წელთან შედარებით. ბევრი რამ არის მიღწეული მეცხოველეობის განვითარებაშიც. გაწეულია უდიდესი მუშაობა ჭაობების დაშრობისა და მორწყვისათვის, რის შედეგადაც რესპუბლიკამ მიიღო 80 ათას ჰექტარზე მეტი დასამუშავებლად ვარგისი მიწა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მიღწევათა საფუძველზე საარაკოდ აყვავდა ქართველი ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა. მოკლე ვადაში სავსებით ლიკვიდირებულ იქნა უმუშევრობა. რამდენჯერმე გადიდდა სამუშაო ხელფასის დონე. შესაბამისად გაიზარდა ვაჭრობა და საქონელბრუნვა.

ქართველი ხალხის კულტურის აყვავება შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი ციფრებით. 1915 წელთან შედარებით დაწყებითი და საშუალო სკოლების რიცხვი 1941 წლისათვის ხუთჯერ და კიდევ მეტად გადიდდა, ხოლო სპეციალური სკოლების (სასწავლებლების) რაოდენობა—16-ჯერ. საბჭოთა საქართველოში ახლა 20-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელია, მაშინ როდესაც წინათ ისინი სრულებით არ ყოფილა ...

...

მრეწველობის განვითარების წარმატებებმა გამოიწვია მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობრივი ზრდა და საერთო პროდუქციის გამოშვების მკვეთრი გადიდება. ამასთან ერთად, მრეწველობის განვითარების წარმატებებმა მოამზადა მატერიალური პირობები წვრილი, დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნისათვის.

კოლექტივიზაციის შედეგად შეიქმნა მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედება, წარმოების თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით შეიარაღებული. საბჭოთა საქართველო მაღალშემოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების — ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, გერანის, ყურძნის და სხვათა რესპუბლიკა გახდა. ამასთან ყველა კულტურათა ნათესი ფართობი 1941 წლისათვის რამდენიმე ...

... ულის, ტანკისტების — კოკაურის, პერტახიას, ბაჩაკაშვილის, წითელფლოტელ ობოლაძის, კომისარ ჩარგეიშვილის, პოლიტხელ შარაშენიძის, გენერალ ლესელიძის, პოლკოვნიკ ჩანჩიბაძის, მაიორების ინაურისა და ჯახუას, ლეიტენანტ ნაკაიძის, მებრძოლ ჩუბინიძის სახელებს, ისევე როგორც სსრ კავშირის ხალხთა ასობით სხვა შვილების სახელებს.

საქართველოს მშრომელნი, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ **ბერიას** მიერ აღზრდილნი, ქვლავაც, დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად, — ყველაფერს გააკეთებენ ფაშისტ ბარბაროსთა სრული და საბოლოო განადგურებისათვის. ამის თავდებია გმირი წითელი არმია, ბოლშევიკების დიადი პარტია, რომლებსაც ხელმძღვანელობს მშრომელთა გენიალური ბელადი ამხანაგი **სტალინი.**

მგზნებარე პატრიოტები საქართველოდან

ისინი ყველგან არიან. მათ ნახავთ ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის ნაპირებთან, მურმანსკში. ისინი შეგხვდებიან მზიურ სამხრეთში, ყირიმის ნახევარკუნძულზე. მათი რიცხვი უთვალავია. მათი რიგები განუწყვეტლივ იზრდება. ისინი ყველგან არიან, მოსკოვის გმირი დამცველების გვერდით გადაიხადეს ისტორიაში უმაგალითო ბრძოლა, ახლაც იცავენ ლენინგრადსა და სევასტოპოლს, დაჰყავთ მრისხანე საბრძოლო მანქანები, სამხედრო გემებზე დგანან ვახტზე ფრონტელ ძმებთან ერთად.

შტურმანი შალვა ლებანიძე და ორდენოსანი მაიორი ვალოდია ხუბულური, წითელფლოტელი დიმიტრი ობოლაძე და სერჟანტი პავლე ავთანდილაშვილი, უშიშარი მფრინავი გიორგი დორეული და მფრინავი კაპიტანი ვლადიმერ მაჩაიძე—საბჭოთა საქართველომ მრავალი სახელოვანი მებრძოლი გაგზავნა დიდი სამამულო ომის ფრონტზე ჰიტლერელ ავაზაკთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მარტო ნიკოლოზ ლესელიძის ოჯახმა ფრონტს მისცა ოთხი შესანიშნავი მებრძოლი. მთელ ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმულია ორგზის ორდენოსანი, გენერალ-მაიორი კონსტანტინე ლესელიძე. მისი სამი ძმა—კაპიტნები დავით და ბიკენტი, უმცროსი მეთაური ვალერიანი—სამამულო ომის დაწყებიდანვე ფრონტზე არიან და ულმობლად სპობენ პირსისხლიან გერმანელ დამპყრობლებს.

ფაშისტების რისხვა—კაპიტანი შალვა ჩინჩალაძე, ორგზის ორდენოსანი მფრინავი შალვა ...

... შნიანი მატარებლის მებრძოლებმა მაიორ ჯახიევის მეთაურობით. იგი პირველი დღეებიდანვე სამამულო ომის ფრონტზე იბრძვის და ულმობლად ანადგურებს ვერაგ მტერს. მრავალი ბრძოლა გადაიხადა მაიორ ჯახიევის ჯავშნოსანმა მატარებელმა, რომლის პირად შემადგენლობაში არიან: ნიკოლოზ კვაჰანტირაძე, შოთა ქელიძე, სამხედრო ფერშალი დოლიძე, კ. გაბუნია, გ. ქოქოშვილი, ქადეიშვილი და სხვ.

საბჭოთა საქართველოს ტოლია მსროლელი რადისტი დ. ჩხიკვიშვილი. მან, 21 წლის ახალგაზრდამ, შარშან მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა—ქალაქ ბ-ს რაიონში. ფაშისტთა დიდი სტრატეგიული ობიექტის წარმატებით დაბომბვის შემდეგ ჩხიკვიშვილის თვითმფრინავს მოულოდნელად დაესხნენ თავს გერმანელი სვავები. მამაცმა მსროლელმა-რადისტმა დ. ჩხიკვიშვილმა მტრის ერთი თვითმფრინავი ჯერ ახლო მოუშვა, შემდეგ ტყვია დაუშინა და ფაშისტთა ავიაგამანადგურებელი, შავ კვამლში გახვეული, ქვასავით დაეშვა მიწისაკენ. ჩხიკვიშვილის თვითმფრინავი კი მშვიდობით დაბრუნდა თავის აეროდრომზე. მას შემდეგ მამაცმა მებრძოლმა დ. ჩხიკვიშვილმა არაერთი ბრძოლა გადაიხადა სამამულო ომის ფრონტზე.

აი გუშინდელი უჩინარი ადამიანი, დღეს საყოველთაოდ ცნობილი ამხანაგი ჩუბინიძემ გასაოცარი გმირობა ჩაიდინა. დასავლეთის ფრონტზე, როცა ფაშისტმა მაროდიორებმა ...

დიდი სამამულო ომის გმირები: გენერალ-მაიორი კ. ლესელიძე, პოლკოვნიკი პ. ჩანჩიბაძე, მაიორი ალ. წურწუმია, პოლკოვნიკი გ. ყურაშვილი, პოდპოლკოვნიკი ა. ინაური, მფრინავი შ. ჰანკოტაძე, კაპიტანი ტ. ჯოხაძე, პოლიტხელის მოადგილე კ. ბერეჟიანი.

უკანასკნელი ცნობები

როგორ სთითხნიან ანტისაბჭოთა ყალბ ცნობებს

სტამბოლი, 24 თებერვალი (საკდესი). სარწმუნო წყაროებიდან გაიგეს დაწვრილებითი ცნობები, თუ როგორ იქნა შეთითხნილი ჰავას-ოფის პროვოკაციული ინფორმაცია იმ გართულების შესახებ, რომელსაც ვითომ ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე. როგორც აქ ფართოდ გახდა ცნობილი თურქეთში არსებულ გერმანიის საინფორმაციო ბიუროს (დნბ) და ჰავას-ოფის განყოფილებებს სახელი გაუტეხა მათმა კავშირმა თურქეთში მყოფ ერაყელ, სირიელ და სხვა ემიგრანტებთან. თურქეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ცხადჰყო, რომ დნბ-ს და ჰავას-ოფის განყოფილებათა თანამშრომლები ხელს უწყობდნენ ზოგიერთი ემიგრანტის ანტითურქულ საქმიანობას, რომლებიც ... მიერ დასაკითხავად იყვნენ გამოწვეულნი. ამასთან დაკავშირებით, დნბ-ს და ჰავას-ოფის განყოფილებანი ახლა თავს არიდებენ თავისი მარკით ანტითურქული და ანტისაბჭოთა ჭორების გავრცელებას. ამიტომ ამგვარი „ინფორმაციის" გაფორმებისათვის ზრუნვა იკისრა თურქეთში არსებული ბულგარეთის საელჩოს პრეს-ატაშემ მატოვმა, კერძოდ, ყალბი ცნობა იმ შეტაკებათა შესახებ, რომლებსაც ვითომ ადგილი ჰქონდათ საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარზე, მატოვმა სტამბოლიდან ტელეფონით გადასცა სოფიაში და რჩევა მისცა გამოეყენებინათ იგი როგორც ჰავას-ოფის სააგენტოს დეპეშა. ჰავას-ოფის სააგენტოს სოფიელი კორესპონდენტი ახლა მოიქცა.

...

უნგრეთის სამი პოლკის აჯანყების დაწვრილებითი ცნობები

...

სერჟანტ სტეპანოვის გამბედაობა და მამაცობა

...

კოლმეურნეობების, კოლმეურნე კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ ხორცის სავალდებულო ჩაბარების წლიური რაიონობრივი ნორმების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონებში, დაწყებული 1942 წლის 1 იანვრიდან, კოლმეურნეობებზე მიმაგრებულ 1 ჰექტარ მიწის ფართობიდან (სახნავები, მათ შორის ბაღები და ბოსტნები, მდელოები და საძოვრები) კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების შემდეგი საშუალო-წლიური ნორმები ცოცხალი წონის კილოგრამობით:

I ჯგუფი — 7,5 კგრ.
1. ბოგდანოვკის რაიონი
2. სიღნაღის
3. წითელწყაროს
4. ყვარლის
5. ყარაიის
6. ბორჩალოს

II ჯგუფი — 6 კგრ.
7. ახალქალაქის რაიონი
8. ლუქსემბურგის
9. წალკის
10. საგარეჯოს
11. ბაშკიჩეთის

III ჯგუფი — 5 კგრ.
12. ბორჯომის რაიონი
13. თელავის
14. ლაგოდეხის
15. თბილისის
16. თეთრიწყაროს
17. გურჯაანის

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონები — 5 კგრ.
18. სტალინირის რაიონი
19. ლენინგორის "
20. ჯავის "
21. ზნაურის "

IV ჯგუფი — 4 კგრ.
22. ხაშურის რაიონი
23. ქარელის "
24. გორის "
25. კასპის "
26. მცხეთის "
27. თიანეთის "

V ჯგუფი — 3,5 კგრ.
28. დუშეთის რაიონი
29. ყაზბეგის "
30. მაიაკოვსკის "
31. ვანის "
32. ქედის (აჭარის ასსრ) "
33. ხულოს "

VI ჯგუფი — 3 კგრ.
34. ახალციხის რაიონი
35. სამტრედიის "
36. ჩხარის "
37. აბაშის "

VII ჯგუფი — 2,5 კგრ.
38. წულუკიძის რაიონი
39. ცხაკაიას "
40. გეგეჭკორის "
41. წალენჯიხის "
42. ჩხოროწყუს "
43. მახარაძის "
44. ლანჩხუთის "
45. ჩოხატაურის "
46. ბათუმის (აჭარის ასსრ) "
47. ქობულეთის "

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის რაიონები — 2,5 კგრ.
48. სოხუმის რაიონი
49. გაგრის "
50. ოჩამჩირის "
51. გუდაუთის "
52. გალის "

VIII ჯგუფი — 2 კგრ.
53. ადიგენის რაიონი
54. ასპინძის "
55. ქუთაისის "
56. წყალტუბოს "
57. ზესტაფონის "
58. ჭიათურის "
59. საჩხერის "
60. ონის "
61. ცაგერის "
62. ზუგდიდის "
63. ხობის "
64. ფოთის "

IX ჯგუფი — 1 კგრ.
65. ორჯონიკიძის რაიონი
66. ამბროლაურის "
67. ტყიბულის "

2. დაწესდეს 1942 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნე კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების წლიური ნორმები თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. ჩარკვიანი**

1942 წ. 18 თებერვალი.

დანართი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1942 წ. 18 თებერვლის დადგენილებისა № 324

კოლმეურნე კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების წლიური ნორმები 1942 წლის 1 იანვრიდან

(ცოცხალი წონის კილოგრამობით)

რაიონები	კოლმეურნე კომლები	ერთპიროვნული მეურნეობები
1. ახალქალაქის	46	92
2. ბოგდანოვკის	46	92
3. ახალციხის	52	104
4. ადიგენის	52	104
5. ასპინძის	52	104
6. ხაშურის (მეცხოველეობის მთა სოფლების გამოკლებით)	40	80
ხაშურის რაიონის მთა სოფლებისათვის	46	92
7. გორის (მეცხოველეობის მთა სოფლებისათვის)	46	92
გორის რაიონის დანარჩენი სოფლსაბჭოები და სოფლები	40	80
8. კასპის (მეცხოველეობის მთა სოფლების გამოკლებით)	40	80
კასპის რაიონის მეცხოველეობის მთა სოფლებისათვის	46	92
9. ბორჯომის	52	104
10. გურჯაანის (იორ-მუღანლოს, დუზაგრამისა და ლამბალოს სოფლსაბჭოების გამოკლებით)	40	80
გურჯაანის რაიონის იორ-მუღანლოს, დუზაგრამისა და ლამბალოს სოფლსაბჭოებისათვის	46	92
11. სიღნაღის	46	92
12. წითელწყაროს	46	92
13. თელავის (თუშთა და მეცხოველეობის მთა სოფლების გამოკლებით)	40	80
თელავის რაიონის თუშთა და მეცხოველეობის მთა სოფლებისათვის	52	104
14. ყვარლის (ლეკთა სოფლების გამოკლებით)	40	80
ყვარლის რაიონის ლეკთა სოფლებისათვის	52	104
15. ლაგოდეხის (კაბალის და ფონის სოფლსაბჭოების გამოკლებით)	40	80
ლაგოდეხის რაიონის კაბალის და ფონის სოფლსაბჭოებისათვის	46	92
16. თბილისის (მეცხოველეობის მთა სოფლების გამოკლებით)	40	80
თბილისის რაიონის მეცხოველეობის მთა სოფლებისათვის	46	92
17. ყარაიის	46	92
18. ბორჩალოსი	46	92
19. ლუქსემბურგის	46	92
20. წალკის	52	104
21. დუშეთის	52	104
22. თეთრიწყაროსი (რაიონის დაბლობი ნაწილისათვის)	46	92
თეთრიწყაროს რაიონის მთა ნაწილისათვის	52	104
23. საგარეჯოს (მეცხოველეობის მთა სოფლების გამოკლებით)	40	80
საგარეჯოს რაიონის მეცხოველეობის მთა სოფლებისათვის	46	92
24. ბაშკიჩეთის	52	104
25. თიანეთის	52	104
26. ყაზბეგის	52	104
27. ქარელის (მეცხოველეობის მთა სოფლების გამოკლებით)	40	80
ქარელის რაიონის მეცხოველეობის მთა სოფლებისათვის	46	92
28. მცხეთის (მეცხოველეობის მთა სოფლების გამოკლებით)	40	80
მცხეთის რაიონის მეცხოველეობის მთა სოფლებისათვის	46	92
29. ქუთაისის	32	64
30. სამტრედიის	32	64
31. წულუკიძის (მეცხოველეობის მთა სოფლების გამოკლებით)	32	64
წულუკიძის რაიონის მეცხოველეობის მთა სოფლებისათვის	36	72
32. ვანის (მეცხოველეობის მთა სოფლების გამოკლებით)	40	80
ვანის რაიონის მეცხოველეობის მთა სოფლებისათვის	46	92
33. მაიაკოვსკის (ზეკარის უღელტეხილთან მდებარე სოფლების გამოკლებით)	40	80
მაიაკოვსკის რაიონის ზეკარის უღელტეხილთან მდებარე სოფლებისათვის	46	92
34. ზესტაფონის	40	80
35. ჩხარის	40	80
36. ჭიათურის	40	80
37. ორჯონიკიძის	40	80
38. ტყიბულის	40	80
39. ონის	52	104
40. საჩხერის	40	80
41. წყალტუბოსი	32	64
42. ამბროლაურის (მეცხოველეობის მთა სოფლების გამოკლებით)	40	80
ამბროლაურის რაიონის მეცხოველეობის მთა სოფლებისათვის	46	92
43. ცაგერის	46	92
44. აბაშის	36	72
45. ცხაკაიასი	36	72
46. გეგეჭკორის	36	72
47. ზუგდიდის	36	72
48. ხობის	36	72
49. წალენჯიხის	36	72
50. ჩხოროწყუსი	36	72
51. მახარაძის	32	64
52. ლანჩხუთის	32	64
53. ჩოხატაურის (მეცხოველეობის მთა სოფლების გამოკლებით)	32	64
ჩოხატაურის რაიონის მეცხოველეობის მთა სოფლებისათვის	36	72
54. ფოთის	36	72
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი		
55. სტალინირის	52	104
56. ზნაურის	52	104
57. ლენინგორის	52	104
58. ჯავის	52	104
აფხაზეთის ასსრ		
59. სოხუმის	36	72
60. გაგრის	36	72
61. ოჩამჩირის	36	72
62. გუდაუთის	36	72
63. გალის	36	72
აჭარის ასსრ		
64. ბათუმის	36	72
65. ქობულეთის	36	72
66. ქედის	46	92
67. ხულოსი	52	104

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲤᲠᲝᲜᲢᲡ

დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ გამოსვლებში მიგვითითა თავდადებით ვიმუშაოთ ფაბრიკებსა და ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ვაჭედოთ გერმანელ ოკუპანტებზე გამარჯვება.

ჩვენი რაიონი სახელოვანი წითელი არმიის XXIV წლისთავს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXI წლისთავს მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდა. საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა წარმატებით შეასრულეს 1941 წლის ყველა სახელმწიფო ვალდებულება.

...და 98 კოლმეურნემ. ასევე მოხდა პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში, აგრეთვე კოლმეურნეობა „დამკვრელში", ქ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ.

ჩაის ცნობილმა მკრეფავმა, ლენინის ორდენოსანმა ქიონია სარსანიამ 1941 წელს ახალი რეკორდი დამყარა, კოლმეურნეობა „ინგირში" გამოიმუშავა 1.746 შრომადღე, სეზონის განმავლობაში 0,8 ჰექტარზე მოკრიფა 15.466 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ერთ დღეს კი ქ. სარსანიამ 1.966 კილოგრამი ჩაი მოკრიფა და 141 შრომადღე გამოიმუშავა, ხოლო ფულად მიიღო 1.110 მანეთი. ამხ. ქ. სარსანია შრომის დამატებით ანაზღაურების სახით იღებს 4.000 მანეთს.

...

...სამამულო ომის დღეებში საკოლმეურნეო მინდვრებზე ათასობით სტახანოველები და ოსტატები განსაკუთრებულ ენერგიას იჩენენ.

იბრძოდნენ რა მოსავლიანობის გადიდებისათვის, გეგმების გადაჭარბებით და ხარისხოვნად შესრულებისათვის რაიონის კოლმეურნეობებში მრავალმა ასეულმა რგოლმა, ბრიგადამ და ათასეულმა კოლმეურნემ მიიღო შრომის დამატებითი ანაზღაურება. მარტო კოლმეურნეობა „ლენინის გზაში" შრომის დამატებითი ანაზღაურება მიიღო 12 ბრიგადამ, 5 რგოლმა

...ბით ავიაესკადრილიის ერთი რგოლის ასაგებად თავდაცვის ფონდში შეიტანეს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების გავრცელების საქმეშიც. მოსახლეობაში გავრცელებულია ფულისა და ნივთების ლატარიის ნახევარ მილიონ მანეთზე მეტის ბილეთები.

ბ. ჩაჩიბაია

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი.

ᲕᲘᲑᲠᲫᲕᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜ ᲐᲛᲮ. Შ. ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ლაგოდეხის რაიონის მშრომელები მებრძოლურად მუშაობენ სამამულო ომის დღეებში. რაიონი წარმატებით იბრძვის გეგმების შესასრულებლად. მტს-მა რემონტი ვადაზე 4 დღით ადრე დაამთავრა. ასევე წარმატებით დამთავრდა კოლმეურნეობებში გუთნების და სხვა ინვენტარის შეკეთება, აგრეთვე საგაზაფხულოდ საჭირო თესლის გამოყოფა, გაწმენდა და კონდიციამდე დაყვანა. კოლმეურნეთა მუშა-პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე.

...მაღწია აგრეთვე კოლმეურნეობა „ოქტომბრის ქარიშხლის" წევრმა ლ. ჯებიშვილმა და სხვ.

ამავე დროს რაიონის კოლმეურნეობები ვადაზე ადრე ასრულებენ სახელმწიფო ვალდებულებებს. სახელმწიფოსათვის ხორცისა და ყველის ჩაბარების 1942 წლის პირველი კვარტალის გეგმა რაიონს შესრულებული აქვს, გეგმის შესრულება ზოგიერთ კოლმეურნეობაში 150-მდე პროცენტს აღწევს.

...

...კოლმეურნეობებში ბრიგადირებად მუშაობენ, მაგალითად, თამარ გოგოლაძე (კოლმეურნეობა „ოქტომბრის ქარიშხალი"), მარია ტოლსტაია (კალინინის სახელობის კოლმეურნეობა), ლიზა მალიევა (მ. გორკის სახელობის კოლმეურნეობა) და სხვ.

სოფ. აფენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს დომნა მჭედლიძეს, რომელმაც შარშან კოლმეურნეობაში 1 ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთი დაამუშავა და 20 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა, 3.450 მანეთი პრემია-დანამატი ერგო. მაღალ მაჩვენებლებს

...ველის სახელობის, სოფ. ფურგენიანის წულუკიძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

წითელი არმიის XXIV წლისთავთან დაკავშირებით ლაგოდეხელმა მშრომელებმა წითელი არმიის მამაც მებრძოლებს გაუგზავნეს 3½ ვაგონი სხვადასხვა საჩუქარი.

ჩვენი რაიონის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ 1942 წელს მიიღონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავალი.

ᲛᲘᲕᲪᲔᲛᲗ ᲤᲠᲝᲜᲢᲡ ᲛᲔᲢ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲡ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜ ᲐᲛᲮ. Ი. ᲚᲣᲓᲣᲨᲐᲣᲠᲗᲐᲜ

სამამულო ომის დღეებში თიანეთის რაიონის მშრომელები თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ სულ უფრო და უფრო მეტი სურსათი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მისცეს ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას. გმირი წითელი არმიის XXIV წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 21 წლისთავთან დაკავშირებით ფარ...

...ანეთის მტს-ის მუშაკებმა. სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით და ლითონის ნარჩენებისა და მანქანა-იარაღების ძველი ნაწილების აღდგენა-დამზადების საფუძველზე მტს-მა ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტი ვადაზე 4 დღით ადრე და თანხების ეკონომიით დაამთავრა. რემონტის საქმეში ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი მოგვცა პირ...

...

...ნების რემონტი. მუშა-პირუტყვიც დიდი ხანია გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში მოწინავენი არიან სოფ. გუდანელების მახარაძის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ჭინჭარაული), სოფ. სიონის სტალინის სახელობის (ამხ. ბუჯიაშვილი) და სხვა კოლმეურნეობები.

საუკეთესო შრომის ნიმუშებს გვაძლევენ თი...

...ადრე სრულდება. ამავე დროს კოლმეურნეები ვადაზე ადრე ასრულებენ სახელმწიფოსათვის ხორცის, ყველის და სხვ. ჩაბარების გეგმებს. გარდა ამისა, წითელი არმიის მამაც მებრძოლებს რაიონის მშრომელებმა გაუგზავნეს ძვირფასი საჩუქრები. მათ შორის ერბო, თაფლი, პაპიროსები, დაკლული ქათმები, ლორი, ყველი და სხვ.

ᲡᲢᲔᲓᲔᲜ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲘᲐᲠᲐᲚᲡ

ამ საწარმოთა საკვამლე მილებიდან მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ ამოვიდა პირველი ბოლი. გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანებმა ამოძრავეს პირველად სახარატო, სარანდავი, საჭრელი დაზგები, აგრეგატები და აქ ინდუსტრიის მძლავრი კერა გააჩაღეს. სულ მალე ახალგაზრდა ქარხნების კონვეიერებიდან წამოვიდა მაღალხარისხოვანი პროდუქციის უხვი ნაკადი. იგი ბედნიერი საბჭოთა ხალხის მშვიდობიან კეთილდღეობას ხმარდებოდა..

დადგა სამამულო ომის ცხარე დღეები. სამშობლოს მოითხოვა მეტი საბრძოლო იარაღი და ქარხნებმაც ომის მოთხოვნების შესაბამისად შეცვალეს თავიანთი პროფილი. ზეინკლებმა, ხარატებმა, ოსტატებმა, ინჟინრებმა თავიანთი დაზგები უფრო მეტი სისწრაფით და სიმძლავრით აამოძრავეს.

...ადამიანების დაუცხრომელი მუშაობით მექანიკური სამქრო დღეისათვის ასრულებს თებერვლის გეგმებს.

არანაკლებ მონდომებით ჩაება ახლებურად მუშაობაში ამწყობი სამქრო, რომელსაც გამოცდილი ინჟინერი გ. ვაწაძე ხელმძღვანელობს. ამ სამქროში სრულდება ფრონტისათვის გასაგზავნი იარაღის დამზადების რთული პროცესი. სამქროს კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი კარგად ართმევს თავს ამ საპატიო საქმეს.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ბევრ მუშას არც კი ენახა ის პროდუქცია, რომელსაც ახლა საკუთარი ხელებით ჰქმნის. ქარხანამ სპეციალური შეკვეთა მიიღო. ამან კიდევ უფრო დარაზმა ქარხნის კოლექტივი. ერთიანი სულისკვეთებით შემოქმედოვა და დამაბული ენერგიით აამოქმედა. მარტო უკე...

...

ᲝᲗᲮᲘ ᲫᲛᲐ

ფაშიზმის წინააღმდეგ სამამულო ომის ფრონტზე გმირულად იბრძვის მახარაძის რაიონის სოფ. ხევრბეთში მცხოვრები ოთხი ძმა ლესელიძე, მათ შორის არტილერიის გენერალ-მაიორი ორდენოსანი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძე.

როცა სალამოს მსუბუქი ნისლით
დგანან პალმები თავდახრილები,
ბუხარში ცეცხლის გუგუნი ისმის
და ციმციმებენ წინდის ჩხირები.

ცა ისე თეთრად ქათქათებს ვერცხლით,
ფრთით დაუფარავთ თითქოს თოლიებს,
სარკმელს მოსწყდება ვარსკვლავი ერთი
და დედის ფიქრებს გაიყოლიებს.

შორს, სადაც ხევებს გლეჯავს ქარბუქი,
სადაც მტერს ზარი დასცეს გმირებმა,
მისი გაზრდილი ოთხი ჭაბუკი,
ოთხი ვაჟკაცი მტერს ერკინება.

...

ვინ ჩამოთვალა რიგრიგად ძმა,
რაც იმამაცეს მისმა შვილებმა?!
დედა ცრემლებით დაალბობს გაზეთს,
მამას ულვაშში ჩაეღიმება

და იტყვის: ქვეყნად მეც კაცი მქვიანმ..
ენთება თვალში სხივი გვიანი.
ჩაის სურნელი შემოაქვს ნიავს
და ნარინჯების ჩუმი შრიალი.

შორს, იქ-კი, სადაც ტყვის ქარბუქით,
მტერს ზარი დასცეს ჩვენმა გმირებმა,
მისი გაზრდილი ოთხი ჭაბუკი,
...

...
ამაყად გაზეთს გადაშლის ნელა,
გახარებული თვალებით უმზერს,
უმზერს და დედას თითქოს არ სჯერა.

...
განთიადიდან განთიადამდე
გრიგალს ამოაქვს ძმების ძახილი.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲜᲝᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ საომარ ყაიდაზე გარდაჰქმნა თავისი მუშაობა. ყველაფერი თავდაცვისათვის—აი ლოზუნგი, რომლითაც ხელმძღვანელობს დღეს ჩვენი ხელოვნება.

8 თვეა ომი გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა. საქართველოს და პირველ რიგში თბილისის თეატრებმა შესცვალეს რეპერტუარი. დაიდგა მთელი რიგი პატრიოტული პიესები ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლებზე, როგორც ისტორიულ წარსულში და სამოქალაქო ომების დროს, ისე სამამულო ომის დღეებში. ასეთებია „გიორგი სააკაძე", „კრემლის კურანტები", ...

...

...ყოველთვიურად თბილისში 250 კონცერტი იმართება და რაიონებში—120. თეატრებთან და ფილარმონიასთან ერთად ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ცირკი, კონსერვატორია და მუსიკალური სასწავლებლები. ორი ბრიგადა მსახიობების ხ. გოცირიძისა და გ. ლომიძის ხელმძღვანელობით ამჟამად მუშაობს ფრონტზე და კონცერტებს მართავს მოწინავე პოზიციებზე. წითელი არმიის XXIV წლისთავის აღსანიშნავად 22-23 თებერვალს ყველა თეატრში გაიმართა უფასო სპექტაკლები წითელარმიელთა და მობილიზებულთა ოჯახის წევრებისათვის. წითელი არმიის ნაწილებში გეგმის ზევით გაიმართა 35 კონცერტი.

ამ ხნის განმავლობაში ხელოვნების მუშაკებმა 120.000 მანეთზე მეტი შეიტანეს თავდაცვის ფონდში, მრავალი საჩუქარი გაუგზავნეს ჩვენს სახელოვან მებრძოლებს.

ფაშისტები ლამობენ ჩვენი კულტურის განადგურებას, სწვავენ და ანგრევენ მუზეუმებს, სკოლებს, კულტურულ ძეგლებს. მათს საკუთარ ქვეყანაში ფაშისტების მეოხებით ხელოვნება უმაგალითო დაცემას განიცდის. ჩვენში კი იქმნება ახალი ნაწარმოებები, უკვე მუშაობს და წარმატებით სარგებლობს სიმფონიური ორკესტრი, დაარსდა პირველი ქართული ჯაზორკესტრი, გაიხსნა კონსერვატორიის ახალი დარბაზი.

ქართველმა მხატვრებმა, გარდა იმისა, რომ დიდი მუშაობა ჩაატარეს აგიტპუნქტებში, საავადმყოფოებში, გასაწვევ პუნქტებზე, ...

...

ორდენოსანი საქართველოს მოწინავე ადამიანები მარცხნიდან მარჯვნივ—ზემო რიგში: ტ. ილურიძე (სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მჭედელი), ქ. სარსანია (ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ინგირის" წევრი), მ. ჩადუნელი (კასპის რაიონის სოფ. იგოეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ქ. თობაძე (თბილისის 34-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი), ქვემო რიგში: ს. ჯანბერიძე („საქნავთის" ტრესტის მირზაანის ბურღვის კანტორის უფროსის მოადგილე), შ. ბაკაშვილი („საქნავთის" ტრესტის მირზაანის სარეწაოს ბურღვის ოსტატი), მ. აკოფოვი (თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატი), გ. კოზირიძე (წითელწყაროს მტს-ის უფროსი აგრონომი).

ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲟᲦᲔᲜᲢᲘ

ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲗ

დიადი სამამულო ომის მძაფრსა და მრისხანე დღეებში ზეიმობს ქართველი ხალხი თავისი უდიდესი ისტორიული გამარჯვების—საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების 21 წლისთავს.

21 წლის წინათ, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ჩვენი მშობლიური გმირული წითელი არმიის დახმარებით ქართველმა ...

...ბით სულდგმულობს ქართველი საბჭოთა მწერლობაც, — ხალხის უწმინდესი სურვილების, ხალხის სულისკვეთების ამსახველი მხატვრული სიტყვა.

უდიდესი მზრუნველობით, სიყვარულითა და ყურადღებით ზრდიდა ჩვენი ქვეყანა ამ 21 წლის განმავლობაში ქართულ საბჭოთა ლიტერატურას და ახლა, ჩვენი სამშობლოს ...

...

ხმალს გადავაბამთ ხმალზედა
მტერს გულში დავეჯახებით!"

ამბობდა გიორგი ლეონიძე სსრ კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაზე ლექსად წარმოთქმულ სიტყვაში.

და როგორც კი „თავისუფლების ამკლებმა" მიხაკისფერმა საშინელებამ ავაზაკურად გადმოლახა ჩვენი ქვეყნის წმინდათა-წმინდა საზღვრები ...

...ზის გამოხატავს კარლო კალაძე ქართველი გმირებისადმი მიძღვნილ ლექსში:

„მაღლა შეაფრენს მერანს განწირვით,
საიერიშოდ შეკრავს კამარას,
ნაბადგაშლილი, როგორც არწივი,
მიჰქრის ხმლისა და რისხვის ამარად".

არა მარტო ლირიკული ლექსებით უმღერიან და ასახავენ ქართველი პოეტები უში...

...

...ერთგულების მაღალი და წრფელი გრძნობით. ყველგან, სამამულო ომის თვალუწვდენი ფრონტის ყოველ უბანზე, ყოველი გამარჯვებისა თუ განსაცდელის წუთში, სტალინის საყვარელი სახელი განუყრელია საბჭოთა ადამიანების აზრისა და გრძნობისაგან. ამიტომ ელერს მთელი სიმართლით და სიწრფელით ბელადისადმი მიმართული სიტყვები ...

...

წითელი არმიის XXIV წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები ინგლისში

ლონდონი, 23 თებერვალი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, ლივერპულში წითელი არმიის XXIV წლისთავთან დაკავშირებით გაიმართა მიტინგი, რომელზედაც წაკითხულ იქნა ბეჭდის მცველი ლორდისა და თემთა პალატის ლიდერ სტაფორდ კრიპსის შემდეგი დეპეშა: „მამაცობა, სიმტკიცე და თავდადება, რაც წითელმა არმიამ გამოიჩინა, რომელიც რუსეთის ყველა ხალხთა დახმარებით სარგებლობს, გადამწყვეტი ფაქტორი გახდა გერმანელ დამპყრობთა უკუგდებასა და ჰიტლერის თავდასხმისაგან ჩვენი ქვეყნის დაცვაში. ჩვენს მიერ გაღებული საერთო მსხვერპლი გვაკისრებს ვითანამშრომლოთ რუსეთთან მომავალ მსოფლიოში".

მიტინგის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ინგლისელმა ხალხმა ვალდებულება იკისრა მთელი კაცობრიობის ვალი გადაუხადოს წითელ არმიას.

წითელი არმიის XXIV წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ლონდონშიც. მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვეს აგრეთვე იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთისა და ავსტრალიის წარმომადგენლებმა. დამსწრეთა შორის იყვნენ ჩინეთის, ნორვეგიის, კანადისა და პოლონეთის წარმომადგენლებიც. მიტინგს მისალმებით მიჰმართა ამერიკის ლონდონელმა ელჩმა ვაინანტმა.

პიერ კოტი რიომის პროცესის შესახებ

ვაშინგტონი, 23 თებერვალი (საკდესი). საფრანგეთის ავიაციის ყოფილმა მინისტრმა პიერ კოტმა საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რიომის პროცესი წარმოადგენს ფაშისტთა მიერ ორგანიზებულ პროცესს სახალხო ფრონტის წინააღმდეგ და არა საფრანგეთის იმ გენერლების წინააღმდეგ, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით საფრანგეთის სამხედრო კატასტროფაში. რიომის პროცესი იმავე ამოცანას ისახავს და იმავე მეთოდებით ტარდება, როგორც იყო რაიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდება და ის პროცესი, რომელიც ამას მოჰყვა. დამნაშავე ფაშისტური ლიდერები ცდილობენ თავისი დანაშაული მოწინააღმდეგეებს გადააბრალონ და ამით თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა. შემდეგ კოტმა სთქვა, რომ რამდენადმე რიომის პროცესი უარესია, ვიდრე ჰიტლერელთა მიერ რაიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების შემდეგ მოწყობილი პროცესი, ვინაიდან იგი აღადგენს საფრანგეთის სამხედრო ხროვის მეთოდებს, რომლებიც მათ დრეიფუსის საქმეში გამოიყენეს, სახელდობრ — საიდუმლო დოსიეს. საჭიროა გავიხსენოთ, განაგრძობს კოტი, რომ როდესაც დრეიფუსის საქმე ირჩეოდა, დარლანი, ვეიგანი და პეტენი ახალგაზრდა ოფიცრები იყვნენ, ამასთან მათ შორის ვეიგანი დრეიფუსის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. იმ მიზნით, რომ ბრალი დაედოთ დრეიფუსისათვის, იყენებდნენ საიდუმლო დოსიეს და ყალბ დოკუმენტებს. მრავალი წელი გახდა საჭირო იმისათვის, რომ დრეიფუსის ღირსება აღდგენილი ყოფილიყო.

რიომის პროცესის გახსნაზე გამელენის გამოსვლა მოწმობს, რომ საფრანგეთის გენერლები ცდილობენ თავიდან აიცილონ საფრანგეთის დამარცხებასთან დაკავშირებული რამე სამხედრო საკითხების განხილვა. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ გამელენი შეუთანხმდა პეტენს, ვეიგანს, დარლანსა და საფრანგეთის შტაბს იმ დეკლარაციის ხასიათის შესახებ, რომელიც მას პროცესის გახსნაზე უნდა გაეკეთებინა. კოტის სიტყვით, ვიშის მმართველები ცდილობენ გენერლების პროცესი სახალხო ფრონტის პროცესად გადააქციონ. რიომის პროცესზე ნამდვილი ბრალდებულია სამი კაცი: ბლიუმი, დალადიე და კოტი, რომლებიც ფაშისტებს უნდა სძულდეთ სახალხო ფრონტის პერიოდში მათი აქტიური მოღვაწეობისათვის. კოტის აზრით, რიომის პროცესის შედეგი ის იქნება, რომ ბლიუმს, დალადიესა და კოტს სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან. შესაძლოა კოტს სიკვდილის განაჩენი გამოუტანონ. პიერ კოტმა იწინასწარმეტყველა, რომ სხვა ბრალდებულებს უფრო იოლ განაჩენს გამოუტანენ. შემდეგ კოტმა განაცხადა, რომ საფრანგეთის სამხედრო დამარცხებისათვის მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება საფრანგეთის ოფიცრობის იმ ფენებს, რომლებიც „რევოლუციის ყოველგვარ რისკს ფაშიზმს ამჯობინებდნენ". უშუალოდ დროებითი ზავის ხელმოწერამდე ვეიგანმა განაცხადა, პარიზში კომუნისტური რევოლუციის საფრთხის გამო საჭიროა ომის შეწყვეტაო. როგორც კოტმა აღნიშნა, ვეიგანის ამ შენიშვნის შესახებ ბევრი ლაპარაკობდა, მათ შორის მანდელიც.

შეეხო რა რიომში მის წინააღმდეგ წაყენებულ ხუთ ბრალდებას, კოტმა აღნიშნა: როდესაც მე ბრალს მდებენ ზოგიერთი საწარმოს ნაციონალიზაციაში, არ ითვალისწინებენ იმას, რომ კენჭისყრის დროს პარლამენტის წევრთა 80 პროცენტმა მხარი დაუჭირა სახალხო ფრონტის ამ ღონისძიებას. რაც შეეხება ბრალდებას, რომ მე ვერ უზრუნველვყავი საკმაო კრედიტები ავიაციის განსავითარებლად, მე ვამბობ, რომ 1936 წლის 30 დეკემბერს უმაღლეს სამხედრო კომიტეტს წინადადება მივეცი ერთი-ორად გაედიდებინა ასიგნობანი სამხედრო-საჰაერო ძალთა განსავითარებლად. მაგრამ სამხედრო კომიტეტმა, რომლის წევრებიც პეტენი და დარლანი იყვნენ, 1937 წლის 15 თებერვალს ერთხმად გადასწყვიტა საფრანგეთის ავიაციის განვითარებას არავითარი საჭიროება არ მოითხოვსო. კოტმა განაცხადა: სიხარულით და სიამაყით ვკისრულობ ბრალდებას, რომ იარაღი და თვითმფრინავები გავუგზავნე ესპანელ რესპუბლიკელებს, როდესაც ესპანეთმა თავდასხმა განიცადა, მაგრამ მწუხარებას გამოვთქვამ, რომ თვითმფრინავებისა და საჭურვლის რაოდენობის გადიდება ვერ შევძელით. შეეხო რა მეოთხე ბრალდებას, რომ იგი უმაღლეს სარდლობას მძიმე მდგომარეობაში აყენებდა, კოტმა განაცხადა: ამ ბრალდების მიზეზს წარმოადგენს ჩემი დამოკიდებულება ზოგიერთი ფაშისტი გენერლისადმი, რომლებიც საფრანგეთის ავიაციაში მსახურებდნენ. როგორც მაგალითი, კოტმა მოიყვანა დიუსენიეს დაპატიმრება იმისათვის, რომ იგი კაგულარებს ეკუთვნოდა. მაგრამ დიუსენიე ახლო მეგობარი იყო პეტენისა, რომელმაც მისი განთავისუფლება მოითხოვა. ეს მოთხოვნა მე არ შევასრულე. შეეხო რა მეხუთე ბრალდებას, რომ კოტი პარლამენტში ძალიან ოპტიმისტურ თვალსაზრისს გამოსთქვამდა საფრანგეთის უშიშროების საკითხზე, კოტმა განაცხადა: ამას წინათ მე გადავიკითხე მაშინდელი ჩემი სიტყვები, რომლებშიც მე მუდამ საჭიროდ მიმაჩნდა საფრანგეთის შეთანხმება ინგლისთან და საბჭოთა კავშირთან. მე ვფიქრობდი, რომ სანამ საფრანგეთი საბჭოთა კავშირსა, ჩეხოსლოვაკიასა და ინგლისთან კარგ ურთიერთობაშია, გერმანია ვერ შესძლებს თავს დაესხას მას. მე ვფიქრობ, განაგრძობდა კოტი,—რომ საფრანგეთის მიერ რუსეთთან კავშირის გაწყვეტის მიზეზია ბონეს სულელური პოლიტიკა მიუნხენისა და მიუნხენის შემდგომ პერიოდებში, აგრეთვე საფრანგეთის გენერალური შტაბის პოლიტიკა. ბონეც და გენერალური შტაბიც ელაქუცებოდნენ რიბენტროპს. 1936 წელს მე ძალიან კარგ ურთიერთობაში ვიყავი რუსეთთან და ცხვადასხვა მისია გავგზავნე იქ. საფრანგეთის არმიაში მე, რუსეთის ნიმუშის მიხედვით, საპარაშუტო ჯარები შევქმენი. 1938 წელს უკვე აღარ ვიყავი კაბინეტის შემადგენლობაში, და სამხედრო შტაბმა დაშალა ეს საპარაშუტო ჯარები, ამასთან განაცხადა, რომ ეს ჯარები რუსეთისადმი ჩემი სიმპატიების შედეგად იყო შექმნილი. შტაბი მიუთითებდა, საპარაშუტო ჯარები თანამედროვე ომში უსარგებლოაო. საფრანგეთის გენერალური შტაბი უარს ამბობდა გასცნობოდა რაიმე ისეთს, რაც რუსეთიდან გამომდინარეობდა, ვინაიდან სთვლიდა, რომ ყველაფერი, რაც ამ ქვეყნიდან გამომდინარეობს, შემცდარია, და დამარცხებასაც კი ამჯობინებდა, ვიდრე რუსეთისაგან დახმარების მიღებას. ამის გამო მოსკოვიდან გამოიწვიეს და უმნიშვნელო პოსტზე დანიშნეს საფრანგეთის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი მენდრენი. იგი იმის გამო გამოიწვიეს, რომ მაღალ შეფასებას აძლევდა და კარგი აზრისა იყო საბჭოთა სამხედრო ორგანიზაციის ძალის შესახებ.

ვიშის მთავრობამ ჰიტლერელებს გადასცა გერმანელი პოლიტემიგრანტები

ლონდონი, 22 თებერვალი (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი ჰერალდი" იუწყება, ვიშის მთავრობამ დაიწყო ჰიტლერელებისათვის გერმანელი პოლიტემიგრანტების, ანტიფაშისტებისა და ინტერნაციონალური ბრიგადის ყოფილი წევრების მასობრივი წესით გადაცემა, რომლებიც რესპუბლიკური ესპანეთის არმიის რიგებში იბრძოდნენ. საფრანგეთის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში დამწყვდეულმა განაცხადა, რომ გესტაპოს მათგან თითქმის ყოველ კვირას რამდენიმე მსხვერპლი მიჰყავს. მაგალითად გერმანელებს გადასცეს რაიხსტაგის დეპუტატები ფრანც დალები და ზიგფრიდ რედელი, პრუსიის ლანდტაგის დეპუტატი ჰაინრიხ რაუ და ორი ცნობილი გერმანელი საზოგადო მოღვაწე — ლეონჰარდი და ნილსენი. ეს ადამიანები 3 წლის განმავლობაში დამწყვდეული ჰყავდათ საფრანგეთის საკონცენტრაციო ბანაკებში. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში მყოფმა მათმა მეგობრებმა რამდენიმე თვის წინათ ვაივაგლახით მიიღეს მათი სამხრეთ აფრიკაში გამგზავრების ვიზები. საჭირო იყო მხოლოდ თანხმობის მიღება ვიშის მთავრობისაგან, მაგრამ მან ამის ნაცვლად ამჯობინა ისინი გერმანელებისათვის გადაეცა.

იტალიის მისია საუდის არაბეთიდან გააძევეს

ლონდონი, 22 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ თემთა პალატაში მიცემულ კითხვაზე უპასუხა, რომ საუდის არაბეთის მთავრობა დაეთანხმა ინგლისის მთავრობის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ წამოყენებულ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ იტალიის მისია ქალაქ ჯედუდან წასულიყო. ამ მოთხოვნის შესაბამისად, საუდის მთავრობამ, ინგლისთან გულითადი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, იტალიის მისიას წინადადება მისცა გასულიყო საუდიიდან. იტალიის დესპანი და მისი სხვა წევრები იტალიას გაემგზავრნენ.

აკადემიკოს პ. ლ. კაპიცას ფარადეის მედალი მიანიჭეს

ლონდონი, 23 თებერვალი (საკდესი). ინჟინერ-ელექტრიკოსთა ინსტიტუტის საბჭომ ფარადეის მედალი მიანიჭა საბჭოთა მეცნიერს—სტალინის პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს პ. ლ. კაპიცას იმ დიდი განძისათვის, რომელიც მან მეცნიერებას შეჰმატა ძლიერი მაგნეტურ არეთა მიღებისა და გამოყენების დარგში. ამ მედალს ანიჭებენ ელექტრო-მანქანათმშენებლობის დარგში მოპოვებული დიდი მიღწევებისათვის ან მნიშვნელოვანი განძისათვის, რომელსაც მეცნიერნი შეჰმატებენ ელექტრობის შესახებ მეცნიერების განვითარების დარგში.

ჩან კაი-შის მიმართვა ინდოელი ხალხისადმი

ლონდონი, 23 თებერვალი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კალკუტიდან იუწყება, ჩან კაი-შიმ წერილით მიჰმართა ინდოელ ხალხს. მან აღნიშნა, რომ ცივილიზაციის ისტორიის ამ კრიტიკულ მომენტში ჩინეთისა და ინდოეთის ხალხებმა მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმარონ კაცობრიობის თავისუფლების დაცვის საქმეს. მაგრამ თუ ინდოელ ან ჩინელ ხალხს თავისუფლება წაართვეს, დედამიწაზე არასოდეს არ დამყარდება ნამდვილი მშვიდობიანობა. მან იმედი გამოსთქვა, რომ ინგლისი არ დაელოდება რაიმე მოთხოვნას ინდოელი ხალხის მხრივ და რაც შეიძლება მალე მიანიჭებს მას პოლიტიკურ უფლებებს, და ეს ხალხი შესძლებს კიდევ უფრო განავითაროს თავისი სულიერი და მატერიალური ძალა. მაშინ იგი მიხვდება, რომ ომში მისი მონაწილეობა არა მარტო დახმარება იქნება ანტიაგრესიული ერებისათვის, რათა მათ გამარჯვება მოიპოვონ, არამედ შემობრუნების პუნქტიც იქნება საკუთარი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს ყველაზე უფრო გონიერი პოლიტიკა იქნებოდა, რომელიც ხელს შეუწყობდა ბრიტანეთის იმპერიისადმი ნდობას. ყოველი ხალხი, რომელიც ანტიაგრესიულ ფრონტს უერთდება, არა მარტო რომელიმე ცალკეულ ქვეყანასთან, არამედ მთელ ანტიფაშისტურ ფრონტთან თანამშრომლობს. ანტიაგრესიული ერები იმედოვნებენ, რომ ინდოელი ხალხი ნებაყოფლობით მიიღებს მონაწილეობას ახლანდელ ბრძოლაში მსოფლიოს გადასარჩენად, რომელშიც ინდოეთი თავის ადგილს დაიკავებს. მსოფლიო საზოგადოებრიობის მეტი ნაწილი თანაუგრძნობს ინდოეთის მისწრაფებას თავისუფლებისადმი. ამ სიმპატიის იმდენად დიდი ღირებულება აქვს და იმდენად ძნელი მისაღწევია, რომ შეუძლებელია მისი გამოხატვა სიტყვით, ფულით ან მატერიალური სახით, და იგი ყოველი ძალ-ღონით უნდა შევინარჩუნოთ. ჩან კაი-ში მოითხოვა, რათა ინდოელმა და ჩინელმა ხალხებმა მხარი დაუჭირონ ჩერჩილისა და რუზველტის ერთობლივ დეკლარაციისა და 26 ერის დეკლარაციის პრინციპებს და შეუერთდნენ ანტიაგრესიულ ფრონტს.

ინგლისის მთავრობის შემადგენლობა

ლონდონი, 23 თებერვალი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მომხდარი ცვლილების შემდეგ ინგლისის მთავრობა შესდგება შემდეგი მინისტრებისაგან, რომლებიც სამხედრო კაბინეტის წევრები არ არიან: ლორდი—კანცლერი საიმონი, ფინანსთა მინისტრი კინგსლი ვუდი, შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრი ჰერბერტ მორისონი, ინდოეთისა და ბირმის საქმეთა მინისტრი ემერი, კოლონიების საქმეთა მინისტრი და ლორდთა პალატის ლიდერი კრენბორნი, საზღვაო მინისტრი ალექსანდერი, სამხედრო მინისტრი გრიგი, ავიაციის მინისტრი სინკლერი, შოტლანდიის საქმეთა მინისტრი ჯონსტონი, სამხედრო მომარაგების მინისტრი დანკენი, ვაჭრობის მინისტრი დალტონი, განათლების მინისტრი ბატლერი, ინფორმაციის მინისტრი ბრეკენი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ბრაუნი, სამშენებლო სამუშაოს მინისტრი პორტალი, მიწათმოქმედებისა და თევზჭერის მინისტრი ჰადსონი, საავიაციო მრეწველობის მინისტრი ლეველინი, ომიანობის დროის ტრანსპორტის მინისტრი ლეზერსი, სასურსათო მომარაგების მინისტრი ვულტონი, ლანკასტერის საჰერცოგოს კანცლერი დაფ კუპერი, ეკონომიური ომის მინისტრი ვოლმერი, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი მორისონი.

გებელსის დარდიანი განცხადებანი

სტამბოლი, 23 თებერვალი (საკდესი). გებელსმა გაზეთ „დას რაიხში" მოათავსა წერილი, რომელშიც აცხადებს, რომ „გერმანელი ხალხი ომის მესამე ზამთარს სულ სხვა სულიერი განწყობილებით ხვდება, ვიდრე წინა ზამთრებს ხვდებოდა". გებელსი აცხადებს: გერმანიის იმედი, რომ ომი იოლი იქნებოდა და საომარი ოპერაციები მარტო ევროპით შემოიფარგლებოდა, ჩაიფუშა. „წინათ,—გულახდილად სწერს იგი,—ჩვენ ვფიქრობდით, რომ ომი სერიოზულია, მაგრამ არა ტრაგიკული, ახლა კი საქმე სხვაგვარად არის. რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობა უკვე 8 თვე გრძელდება. ამ ომის შეუპოვარი და სასტიკი ხასიათი სულ ახალახალ და ძნელ პრობლემებს აყენებს გერმანელთა წინაშე. ამან თავი იჩინა გერმანელ ჯარისკაცთა სახის გამომეტყველებაშიც, რომლებიც ახლა საქმის ვითარებას სხვანაირად აფასებენ, ვიდრე წინათ. წინათ გამარჯვება ჩვენთვის ლამაზი სურვილი იყო. ახლა ომი ჩვენთვის მძიმე განსაცდელი გახდა".

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 23 თებერვალი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ლუსონის კუნძულზე (ფილიპინები) სიწყნარე ჩამოვარდა. უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში აქ არავითარი აქტივობა არ გამოუჩენია იაპონელთა არც ავიაციას და არც სახმელეთო ჯარებს. იაპონელთა არტილერია რამდენიმე დღის განმავლობაში უშენდა ამერიკის ჯარების სიმაგრეებს, რაც ახლა შესწყვიტა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 23 თებერვალი (საკდესი). უკანასკნელი ოფიციალური ცნობებით, ინგლისელთა ჯარებმა ბირმაში მდინარე ბილინგის ზღუდეებზე არსებული პოზიციებიდან დაიხიეს და ახალი პოზიციები დაიკავეს მდინარე ბილინგსა და სიტანგს შორის. ინგლისის ავიაციამ წარმატებით დაბომბა და ტყვიამფრქვევი დაუშინა იაპონელთა ჯარის კოლონებს, რომლებიც მდინარე ბილინგიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიდიოდნენ.

მელბურნიდან (ავსტრალია) მიღებული ცნობებით, 22 თებერვალს იაპონიის ავიაცია საზვერავ ფრენას აწარმოებდა ახალი გვინეის კუნძულის ნავსადგურ მორესბიზე. იაპონელთა თვითმფრინავები განდევნილ იქნენ საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

ავსტრალიის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ იაპონიის ავიაცია ერთგვარ აქტივობას იჩენს ახალი გვინეის კუნძულზე. იაპონელთა თვითმფრინავებმა ტიმორის ზღვაში მყოფი მოკავშირეთა გემები დაბომბეს, მაგრამ არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ.

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობები

ბატავია, 23 თებერვალი (საკდესი). ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ იაპონიის ავიაცია დიდ აქტივობას იჩენდა და დაბომბა, აგრეთვე ტყვიამფრქვევი დაუშინა იავის კუნძულის ბევრ აეროდრომს. იაპონელთა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს კერძოდ ბატავიისა და სურაბაიის მახლობელ აეროდრომებზე, რის შედეგადაც მცირეოდენი ნგრევა მოხდა, მსხვერპლი კი უმნიშვნელოა. ჩამოგდებულია იაპონელთა 3 თუ 4 ავიაგამანადგურებელი.

ჰოლანდიის ინდოეთის ავიაციამ იაპონიის სამხედრო ობიექტები დაბომბა პალემბანგის (სუმატრის კუნძული) მახლობლად და დამაკმაყოფილებელ შედეგს მიაღწია. კვირის დამლევს იაპონელთა ჯარებმა იერიში მიიტანეს ტიმორის კუნძულის ჰოლანდიის ნაწილში მდებარე ქალაქ კოეპანგზე. იაპონელთა ჯარებს მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს.

ბანკის სრუტეში მოკავშირეთა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს იაპონიის 10.000 ტონა წყალწყვის სავაჭრო გემზე. ამ გემზე ხანძარი გაჩნდა.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 23 თებერვალი (საკდესი). ოფიციალური ცნობებით 19 თებერვალს იაპონელთა ჯარებმა ქალაქი დენ-პასარი დაიკავეს (ბალის კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთის კიდურში).

22 თებერვალს იაპონიის ავიაცია თავს დაესხა ბუიტენზორგის აეროდრომს, 50 კილომეტრზე ბატავიის სამხრეთით. აეროდრომზე ხანძარი გაჩნდა.

სამხედრო მოქმედება ლიბიაში

ლონდონი, 23 თებერვალი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ძალთა სარდლობის დღევანდელ კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინ ინგლისის პატრულები და მოძრავი კოლონები, რომლებიც ელ-ტმიმის აღმოსავლეთით და ელ-ტმიმი-ელ-მეკილის გზის სამხრეთით მდებარე რაიონის ფრონტის მთავარ უბანზე მოქმედებენ, მტრის კოლონების უფრო ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ნაშუადღევს მტერს მნიშვნელოვანი ჯარები გადაჰყავდა მარტუბიდან და ელ-ტმიმიდან. მოწინააღმდეგის ავიაციამაც აქტივობა გააძლიერა ფრონტის მოწინავე უბნებზე.

შოთა რუსთაველის ძეგლი

რუსთაველის პროსპექტისა და ლენინის ქუჩის შესახვედრთან იდგმება შოთა რუსთაველის ძეგლი. შოთას ფიგურა, რომელიც გამოიჭრა ერთი მთლიანი ლოდისაგან, გამოქანდაკებულია ქ. მერაბიშვილის მიერ. ფიგურის გამოქანდაკება უკვე დამთავრდა. ახლო ხანში დაიწყება მისი დადგმა კვარცხლბეკზე. შოთას ფიგურა 5 მ. 40 ს. სიმაღლისაა. კვარცხლბეკის ჩათვლით ძეგლი იქნება 12,5 მეტრის სიმაღლისა. ძეგლი ახლო მომავალში გაიხსნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედებითი მუშაობა გაჩაღებულია

საუბარი ხელოვნების საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ბ. ხრაპჩენკოსთან

— საბჭოთა საქართველოს მხატვრული ცხოვრება,—სთქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს ამხ. ხრაპჩენკომ, — ინტენსიურად მიმდინარეობს. მძიმე ომმა, რომელიც ფაშიზმმა თავს მოახვია საბჭოთა კავშირს, ვერ შესძლო შეეჩერებინა საბჭოთა ხელოვნების განვითარება. ამით გამოიხატა ერთი მხრით საბჭოთა კულტურის სიმძლავრე, ხოლო მეორე მხრით მთავრობის დაულალავი ზრუნვა ხელოვნებისა და მისი მოღვაწეებისათვის.

ამჟამად თბილისში მე გავეცანი ქართული ხელოვნების მთელ რიგ ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებს. დიდსა და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მოქანდაკე მერაბიშვილის ნაშრომი—ქანდაკება შოთა რუსთაველის ძეგლისათვის. ნიჭიერი მხატვრის ამ ნაწარმოებში მონუმენტურობა და გამოსახვის ძალა შეხამებულია პროპორციების ლაზათიანობასა და სიმსუბუქესთან, კეთილშობილებასა და მოხდენილობასთან. მეორე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია მხატვარი ჯაფარიძის სურათი „1905 წელი".

მუსიკალური შემოქმედების დარგშიაც უნდა აღინიშნოს საინტერესო ნაშრომი. ეს არის ნიჭიერი მშველიძის ახალი სიმფონიური პოემა.

რუსთაველის სახელობის თეატრი—გმირულ ხასიათთა, ძლიერ, მკაფიო სცენიურ სახეთა თეატრი—მაყურებლის დამსახურებული სიყვარულით სარგებლობს. მის შესანიშნავ სპექტაკლს „ოტელოს", მთავარი შემსრულებლების—სახალხო არტისტების ხორავასა და ვასაძის თამაშს უკვე კარგად იცნობენ საბჭოთა საქართველოს ფარგლებს იქით. თბილისში მუშაობს აგრეთვე მეორე საუცხოო თეატრი—მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. ამ თეატრში მუშაობს არა ერთი ნიჭიერი მსახიობი, რომლებმაც საინტერესო სპექტაკლები შექმნეს.

ომთან დაკავშირებით თბილისში იმყოფება ხელოვნების საკმაოდ ბევრი ოსტატი სხვა რესპუბლიკებიდან. ზ. ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრმა სამუშაოდ მიიწვია მთელი რიგი ჩამოსული მომღერლები და ამის მეოხებით მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი დასი. საჭიროა სხვა სამხატვრო დაწესებულებებმაც ვაცილებით უფრო სრულად გამოიყენონ ჩამოსულ ხელოვნების მოღვაწეთა ნიჭი და გამოცდილება, უფრო მჭიდროდ ჩააბან ისინი სამასწავლებლო და საკონსულტაციო მუშაობაში, უფრო მეტად გადაიღონ მათი შემოქმედებითი გამოცდილება. ეს უეჭველად საუცხოო ნაყოფს გამოიღებს.

თბილისის მსახიობები, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ხელოვნების ყველა მუშაკი, თავიანთი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები არიან. საჭიროა უფრო ენერგიულად ჩავაბათ ისინი ფრონტის უშუალო მომსახურებაში. უკანასკნელ დღეებში ჩვენ თბილისში შევადგინეთ მსახიობთა 4 დიდი ბრიგადა, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ფრონტს.

20 თებერვალს თბილისში დამთავრდა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში 1941 წლისთვის სტალინის პრემიების მიმკუთვნებელი კომიტეტის მუშაობა. წაკითხულ, გადათვალიერებულ და მოსმენილ იქნა მრავალი საინტერესო ნაწარმოები. მათ შორის საუკეთესონი გადარჩეულია. კომიტეტის დასკვნები დასამტკიცებლად წარედგინება მთავრობას.

— დიადი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავი, სთქვა საუბრის დასასრულს ამხ. ხრაპჩენკომ,—საბჭოთა ხელოვნებამ უნდა აღნიშნოს გმირული შინაარსის დიდი ნაწარმოებებით, რომლებიც ასახავენ ჩვენი ბრძოლის სიდიადეს. ჩატარდება სრულიად-საკავშირო კონკურსი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისადმი მიძღვნილ საუკეთესო სიმფონიურ და საოპერო ნაწარმოებებზე. მოსკოვში მზადდება საიუბილეო სამხატვრო გამოფენა. დრამატურგებს დაკვეთილი აქვთ მთელი რიგი პიესები. მძიმე საომარ პირობებში, საზიზღარ დამპყრობთა წინააღმდეგ წარმოებული სამამულო ომის დღეებში საბჭოთა ხელოვნება არათუ არ დასწევს თავისი მუშაობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დონეს, არამედ დიდად გადააჭარბებს ომამდელ ნიმუშებს (საქდესი).

ქართული მუსიკის აღმავლობა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში კომპოზიტორები თითზე ჩამოსათვლელი გვყავდა. დღეს საქართველოს მუსიკალური კულტურა განვითარების ისეთ დონეზეა ასული, რომ საქართველოში 45-ზე მეტი კომპოზიტორი მუშაობს. 21 წლის განმავლობაში შეიქმნა 15-ზე მეტი ოპერა. მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიდგა ოპერები „დეპუტატი", „კაკო ყაჩაღი", „სამშობლო", „კეცხოველი", ბალეტი „მთების გული". ჩვენი კომპოზიტორები ახლაც წარმატებით განაგრძობენ მუშაობას ამ მიმართულებით.

შ. მშველიძე სწერს ოპერას „ვეფხის ტყაოსანს", ა. ბალანჩივაძე — „ბედნიერებას", გ. გოკიელი—„მელას", დ. არაყიშვილმა გადააკეთა თავისი ოპერა „შოთა რუსთაველი", რომლის ლიბრეტო გააკეთა ს. შანშიაშვილმა და სხვ.

ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა სიმფონიები და სხვა დიდი ფორმის მუსიკალური ნაწარმოებები, როგორც, მაგალითად დ. არაყიშვილის და ა. კერესელიძის სიმფონიები, გ. კილაძის „განდეგილი", შ. მშველიძის „ზვიადაური", ი. ტუსკიას „მავზოლეუმი" და სხვ.

სამამულო ომის დღეებში საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს. დაიწერა 60-ზე მეტი საგუნდო სიმღერა და რომანსი. ბევრი სიმღერა შეტანილია საქართველოს ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის და სხვა გუნდების რეპერტუარში, ბევრ სიმღერას წარმატებით ასრულებენ ჩვენი მომღერლები კონცერტებზე.

სიმღერას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ახლა ფიამდე სიმღერა და რომანსი იწერება. დ. არაყიშვილი სწერს სიმღერას „მეხატიანეთ დახურე წიგნი", ა. მაჭავარიანი — „მებრძოლი პირტახია", ლ. ფალიაშვილი — „დევგმირი", ა. ბალანჩივაძე—„ვფიცავ ჩემს მიწას", რ. გაბიჩვაძე—„პარტიზანი", ვ. ცაგარეიშვილი—„დედა და შვილი", გ. ჩიკვაიძე —„ვიყოთ ფხიზელი", ვ. კურტიდი — „21 წლის ჭაბუკი", გ. კოკელაძე — „სამამულო ომის გმირებს", ვ. უმრშატი—„შორს არ არის ის დღე", ლ. კრუტიკოვი—„დედის წერილი", ო. ბარამიშვილი—„ჩვენ მივეძღვება დიდი სტალინი" და „წინ, სტალინური შევარდენო", გ. გოკიელი—„დაარტყი მტერს" და სხვ. სიმღერას, განსაკუთრებით საგუნდო სიმღერას, რომელიც გამოხატავს ჩვენი ხალხის უდიდეს გრძნობებს, ძლიერ ნებისყოფას, გამარჯვების რწმენას, დიდი ზეგავლენითი ემოციური ძალა აქვს. ჩვენ გვჭირდება ისეთი სიმღერა, რომელსაც მთელი არმია, მთელი ხალხი იმღერებს, რომელიც დარჩება შთამომავლობას, როგორც სამამულო ომის დროის დამახასიათებელი, ისე როგორც ჩვენ გადმოგვეცა მამებისა და უფროსი ძმებისაგან სამოქალაქო ომის დროის წარმტაცი სიმღერები. საბჭოთა კომპოზიტორების ღირსებისა და სახელის საქმეა შექმნან ასეთი წარმტაცი სიმღერა, ხალხის გმირული სიმღერა.

გ. კილაძე

სტალინური პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი.

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ხელმწიფო ანსამბლმა სამამულო ომის დღეებში კიდევ უფრო გაშალა მუშაობა. საჭირო იყო ახალი რეპერტუარის შექმნა, საჭირო იყო შესრულება ისეთი სიმღერებისა, რომლებიც კიდევ უფრო აღაფრთოვანებენ საბჭოთა მოქალაქეებს, ჩვენს სახელოვან მებრძოლებს საგმირო საქმეებისათვის.

ანსამბლი ომის დაწყებისთანავე შეუდგა საბჭოთა კომპოზიტორების მიერ სამამულო ომის თემაზე დაწერილი სიმღერების შესწავლას, შერჩეულ იქნა ხალხური პატრიოტული სიმღერები და ამრიგად შეიქმნა ახალი რეპერტუარი. ანსამბლის პროგრამა ორი ნაწილისაგან შედგება: ხალხური სიმღერები, რომელსაც ასრულებს ანსამბლი ნაციონალური კოსტუმებში გამოწყობილი და კომპოზიტორთა ნაწარმოებები, რომლებსაც ასრულებს ევროპულ ტანსაცმელში.

რამდენიმე ხნის წინათ ანსამბლმა გამართა დიდი კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ გამოჩენილი მუსიკოსები პროკოფიევი, მიასკოვსკი, შაპორინი, თარხანოვი, ნეჩაევი, გოლდენვეიზერი და სხვ. მათ მაღალი შეფასება მისცეს კონცერტს.

დიდ მუშაობას ეწევა ანსამბლი წითელარმიელთა ნაწილებსა და საავადმყოფოებში, სადაც მისი კონცერტები დიდი წარმატებით სარგებლობს. ასეთივე წარმატებით გამოვიდა ანსამბლი წითელი არმიის XXIV წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს XXI წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო საღამოზე ოპერის თეატრში.

გ. კოკელაძე

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ქ. ლორთქიფანიძე
ილო მოსაშვილი

ის კიდევ დაბრუნდება*)

„ომში წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო!"

ხალისიანად მღეროდა ტრაქტორზე ჭაღარა გლეხი, ბეჟან ხელაშვილი. ტრაქტორის რადიატორზე ლამაზად გამოჭრილი ფიცარი ეკიდა:

„გიორგი ხელაშვილის ტრაქტორი"

მეურმე დედაკაცმა ცხენი ხნულის პირას შეაჩერა.

„დაბრუნება და შინ მოსვლა,
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო!.."

ალერსიანად მიუმღერა მოხუცმა. ტრაქტორიდან თავმომწონედ გადმოხტა... მაგრამ ეტყობა, ასე ჭაბუკურად გადმოხტომა არც ისე ადვილი იყო მისთვის..

და დედაკაცმაც მაშინვე ქოქოლა მიაყარა:

— რა გამღერებს და რა გახტუნებს, ბერიკაცო!

აქაო და შვილის ტრაქტორზე ვზივარო, დასანიშნი ბიჭი ხომ არა გგონია შენი თავი?

— როგორიც ხარ ქარხანაო, ისეთი გყავს თარხანაო!.. გაეხუმრა მოხუცი და ურმიდან სანავეთე ჩამოიღო.

— მიწა კი დაეყარა შენს ენას...—მიაძახა დედაკაცმა, ტრაქტორიდან დაჭდეული ჯოხი გადმოიღო და ხნულის სიღრმე გაზომა. შუბლი შეიკრა...

— აქ მობრძანდი, ვაჟბატონო! ასე ხნავდა ჩვენი გიორგი? ამიტომ ჩამოვკიდეთ ტრაქტორზე მისი სახელი, რომ სოფელში თავი მოგვჭრათ?..

გულშემოყრილმა მოხუცმა სანავეთე ტრაქტორთან მიიტანა:

— რა იყო, დედაკაცო! რა მოგელანდა?!—ცოლმა ნაჭდევი გადაზომა და ჯოხი ცხვირთან მიუტანა:

— ოთხი თითის დადება აკლია, შენ დაგაკლდა ოთხი დღის სიცოცხლე! თუ არ შეგვეძლო, კაცო, რაღად ვიკისრეთ მისი მაგიერობა?! ბიჭმა სტახანოვური ტრაქტორი დაგვიტოვა.. ახლა მაჩანჩალა გავხადოთ?

ხნულში ცხენოსანი ბრიგადირი შემოვიდა.

— ბეჟანსა და მაგდანს გაუმარჯოს! რა გაჩხუბებთ ბებრებო"..

ბრიგადირის დანახვაზე ბეჟანს გული მოეცა:

— რა ვიცი, კაცო! ხელში არსენას არშინი დაუჭერია და ჩამციებია, ნახნავი არ გიეარგაო! მოდი, თუ ძმა ხარ, შენ გაგვასამართლე!—შესჩივლა ბეჟანმა ბრიგადირს..

ბრიგადირმა მოწონებით გადახედა მაგდანს.. ჯოხი ჩამოართვა და ხნულის სიღრმე რამდენიმე ადგილას გაზომა..

ეტყობა კმაყოფილი დარჩა: — ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო.. მეტი რა გინდათ, თქვე დალოცვილებო! ორი თვეა, ტრაქტორი ისწავლეთ და, ქვესკნელს ხომ ვერ გადააბრუნებთ?! — შეაქო ცოლ-ქმარი ბრიგადირმა და უბის წიგნაკი ამოიღო.. რაღაც იანგარიშა... მერე ფიცართან მივიდა..

ბეჟანმა სათვალე გაიკეთა.. და, როდესაც ბრიგადირის ხელმა ფიცარზე დღიური გეგმის შესრულება 105 პროცენტით აღნიშნა, ბეჟანმა სათვალე მოიხსნა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და ცოლს თავმომწონედ გადახედა...

— მიწა კი გაგისკდეს! ..—მიაძახა მაგდანმა, თუმცა მის ხმაში ალერსი მეტი იყო, ვიდრე დაცინვა. მერე კაბა შემოიკვალთა და ტრაქტორზე ავიდა.. გუთნის პირი რბილად შეცურდა აფუებულ მიწაში..

— დედა მყავსო, გიორგიმ უნდა დაიკვეხოს!.. ჩაილაპარაკა ნასიამოვნებმა ბრიგადირმა და ცხენს მოაჯდა.

— დაიცა, თუ ძმა ხარ! უთხრა ბეჟანმა, ცხენოსანი კაკლის ჩრდილში შეაჩერა და ხელადა მიაწოდა.

— მადლიანი კაცი ხარ, შვილი დამილოცე... ბრიგადირმა ხელადა ჩამოართვა, უნაგირზე გასწორდა და თითქოს სჯეროდა, რომ კაცის სიტყვას მართლა შესწევდა ამდენი ძალა და მადლი, დინჯად წარმოსთქვა:

— გიორგის გაუმარჯოს! წყალში იყოს, წყალი დაშრობოდეს! ცეცხლში იყოს, ცეცხლი ჩაჰქრობოდეს! გზაში იყოს, გზა დალოცოდეს! შინ მშვიდობით დაგვიბრუნდეს!.. ხელადას დაეწაფა...

* * *

საველე ლაზარეთთან სტეფანე ვერშინინმა ცხენი მიაგდო.. იგი, ეტყობა, აქაურობას კარგად იცნობდა, რადგან მათრახის ტარით კარი შეაღო და შესძახა:

— ამხანაგო მაკაროვა! ..—კარებში ნატაშა გამოჩნდა. ვერშინინი ცხენიდან ჩამოხტა და მინდვრის ყვავილების დიდი თაიგული ნატაშას გაუწოდა..

— გიორგის მოუტანეთ?—ჰკითხა ქალმა..

— არა.. ჩვენმა ესკადრონმა...—ვერშინინს სიტყვა პირში შეაწყდა.. თაიგული მაშინვე დაუშვა და მხედრულად გასწორდა... ლაზარეთის შესასვლელთან უხმოდ მოცურდა ჯავშნიანი ავტომობილი, კარი გაიღო და ჯავშანიდან სტალინი გადმოვიდა ორი გენერლის თანხლებით.

ვერშინინის საქციელით გაოცებულმა ნატაშამ გარეთ გამოიხედა და მოახლოვებული სტალინი დაინახა.. სტალინმა თვალი მიატანა თაიგულს.., გაეღიმა. დარცხვენილ ვერშინინს თაიგული ჩამოართვა და შუაკარში მოჯადოებულივით გაშტერებულ ნატაშას მიაწოდა.

— საუცხოო თაიგულია.. ინებეთ!—ვერშინინი გამოერკვა:

— ეს, ამხანაგო სტალინ, ესკადრონმა გამოუგზავნა ნატაშა მაკაროვას ჩვენი მებრძოლის, ხელაშვილის გადარჩენისათვის... ეს ყვავილები მისმა ავტომატმა მოცელა გუშინ..—მოახსენა სტალინს...

—რომელი ხელაშვილი?—ჰკითხა სტალინმა.

— გიორგი ხელაშვილი...—მიუგო ვერშინინმა და... თვალწინ წარმოუდგა....

...აგერ მომაკვდავმა გიორგიმ უბიდან სათითესავით პატარა შავი კოლოფი ამოიღო და განზე გადაისროლა...

...აგერ ნატაშას გონმიხდილი გიორგი ბრძოლის ველიდან გამოჰყავს...

...აგერ ლამენათევი, დამწუხარებული ნატაშა ფერმიხდილ გიორგის დასცქერის..

და აგერ, მზიან პალატაში მხარშეხვეული გიორგი ხელაშვილი და ფეხში დაჭრილი ინგლისელი მფრინავი საწოლზე ჩამომსხდარან და ფოტოგრაფიულ სურათს ათვალიერებენ. სურათზე: მხარშეხვეული გიორგი და მომღიმარე ნატაშა შადრევანთან დგანან...

— ძაან გოგოა.. მოგწონს?—გაუცინა ინგლისელმა და გიორგის მხარზე მხარი გაჰკრა. გიორგიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო რომ კარი ფართოდ გაიღო და... სტალინი შემოვიდა ლაზარეთის უფროსის თანხლებით. გიორგი მყისვე წამოიჭრა და მხედრულად გასწორდა. ინგლისელიც ყავარჯენს წაეპოტინა, რომ ფეხზე წამომდგარიყო. მაგრამ სტალინმა ხელი ორივე მხარზე მოხვია და ისევ საწოლზე დაუშვა.

— სად დაიჭერით?

— მოსკოვთან, თქვენო აღმატებულებავ!

— როგორ შეეგუეთ აქაურობას... სამშობლო ხომ არ მოგენატრათ?—ინგლისელს გაეღიმა...

— სადაც-კი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ იბრძვიან, ყველგან ჩემი სამშობლოა, თქვენო აღმატებულებავ!

— ეგრეა! — დაუდასტურა სტალინმა და მფრინავს გულთბილად მხარზე ხელი დაჰკრა. მერე გიორგის ახედ-დახედა..

— წინდებზე გეტყობა, ქართველი უნდა იყო!

— უფროსი სერჟანტი, გიორგი ხელაშვილი გახლავარ..

— ხელაშვილი? — ჰკითხა სტალინმა... ეტყობა ამ გვარმა რაღაც მოაგონა...

— ძალიან გყვარებია ბიჭო, დედაშენი...

— რა ვქნა, ამხანაგო სტალინ... ნათქვამია, დედის გამომცხვარი კვერი ციმბირშიც თბილი ჩამყვაო ..—დარცხვენით მიუგო გიორგიმ.

—ეგეც მართალია... ვისაც დედა ჰყვარებია, დედა-ალავიც იმას შეუნახავს! ..—მერე შეხვეულ მხარზე ანიშნა და გაეხუმრა:

— გაჯობა, ბიჭო, გერმანელმა?—გიორგი უფრო გაიმართა, ხმაშიც ძალა მოემატა:

— არა, ამხანაგო სტალინ.. ბრძანება რომ არ მოსულიყო, იმ ქალაქს მტერი ვერ წაიღებდა...

— ნაწყენი ხარ?..—ჰკითხა სტალინმა და ცერად გადახედა. გიორგიმ ვერაფერი უპასუხა... სტალინს ღიმილი მოერია.

— არაფერია, ქალაქებს მალე ავაშენებთ.. შენისთანა ბიჭების დაზრდას კი ოცი წელიწადი სჭირდება... მერე ლაზარეთის უფროსს მიუბრუნდა:

— როგორია აქეს ჭრილობა?

— ორ-სამ კვირაში შეეხორცება, ამხანაგო სახალხო კომისარო!..

— მაშ სოფელში გაგზავნეთ... დედის ხელი — ყველაზე უკეთესი წამალია! გამოჯანმრთელებით იყავით!—უთხრა სტალინმა, დაჭრილებს ხელი ჩამოართვა და შემდეგი პალატის კარი შეაღო...

* * *

გიორგი ყალყზე შემდგარ ცხენს მოაჯდა.. ეს მოჩვენება როდი იყო.. ცხენს მოაჯდა სტეფანე ვერშინინიც...

ესკადრონი საიერიშოდ დაიძრა...

ნაცნობი დაბის ერთ დროს უკაცურ ქუჩას გამოცოცხლება დასტყობოდა.. მოუსვენარი ლოდინით იღებოდა ფანჯრები და ისევ იხურებოდა... ან ჭიშკარში ქურდულად ვინმე გამოიხედავდა და ისევ მიეფარებოდა..

ვილაც ქუდმოგლეჯილმა ბიჭმა ქუჩაზე ჩაირბინა ძახილით:

— მოდიან!..

ქუჩის თავში ჰენებით მომავალი წითელი მხედრობა გამოჩნდა...

მოხუცები, ქალები, ბავშვები მოაწყდნენ ფანჯრებს, აივნებსა და ეზოებს...

წინ გიორგი ხელაშვილი და სტეფანე ვერშინინი მოაგელვებდნენ გაქაფებულ ცხენებს. აგერ მოხუცმა ქალმა ქუჩა გადასჭრა, ხელებგაშლილი წინ შეეგება..

— ჩვენო შვილებო!.. ჩვენო მხსნელებო!..—შესძახა მან და მოზღვავებულმა ცრემლებმა ხმა ჩაუწყვიტა.

აგერ, გულამომჯდარი თეთრწვერა მოხუცი ერთ მხედარს გადაეხვია... აგერ კიდევ ვიღაცა მეორეს...

ხელებგაშლილი მოხუცი ქალი აღტაცებული მისჩერებოდა მიმავალ ლაშქარს და ლოყებს ცრემლი უსველებდა.. ხალხი სდუღდა... ვინ ხელსახოცს აფრიალებდა, ვინ ქუდს იქნევდა, ვინ ყვავილებს ესროდა ადიდებულ მდინარესავით მომავალ მხედრობას.

დაწინაურებულმა გიორგიმ და ვერშინინმა იმ განაპირა სახლთან მოაგდეს ცხენები... კედელზე თუნუქის წარწერა ეკიდა და შიგ ჩაბეჭდილი იყო:

„სტალინის ქუჩა"

— სწორად მივდივართ, სტეფანე! ეს არის ჩვენი გზა!.. უთხრა გიორგიმ ვერშინინს და ცხენები დასძრეს...

ფართო, თვალუწვდენელ ქუჩაზე წითელი მხედრობა მიჰქროდა.

*) ნაწყვეტები ამოღებულია ქ. ლორთქიფანიძისა და ი. მოსაშვილის კინოსცენარიდან.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

უე 5822